გაზეთი დაარსებულია 1918 წელს,
შაბათი, 24 სექტემბერი, 2005 წელი.
№223 (5256)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

◉ რაც დავიწყებით არ იბინდება

## კრწანისის ბრძოლიდან 210 წელი გავიდა





1795 წლის 24 სექტემბერი, ძველი სტილით 11 სექტემბერი, ქართველთა თავგანწირული გმირობის დღეა. ამ დღეს კრწანისის ომში დამარცხების მიუხედავად, ქართველებმა სულის გაუტეხლობისა და გმირობის უდიდესი მაგალითი აჩვენეს: აღა-მაჰმად-ხანის 35 000 ჯარს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია ერეკლე მეფემ 4 000-მდე ერთგულ მებრძოლთან ერთად. მიუხედავად მცირერიცხოვნობისა, თბილისის მისადგომებთან ქართველებმა საარაკო გმირობა გამოიჩინეს. როგორც წმიდა ილია მართალი (ჭავჭავაძე) ბრძანებს: „მათ თავი შესწირეს თავისს საყვარელს ქვეყანას, თავის რჯულ-სარწმუნოებას, თავისს ვინაობის ხსნას, თავისს ისტორიის ანდერძს, თავისის ერის სახელსა და დიდებას და ერთობ თავისის ქვეყნის მერმისსა...“

კრწანისის ბრძოლის დღიდან 210 წელი გავიდა. ამ თარიღის აღსანიშნავად ა. წ. 25 სექტემბერს, კვირას, 19 საათზე, სამასი არაგველის სახელობის სკვერში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II შეასრულებს ქართველი გმირების სულის მოსახსენებელ პანაშვიდს: მოეწყობა მუსიკალურ-ლიტერატურული სანახაობა.

საზოგადოება გაეცნობა კრწანისის ბრძოლის ისტორიული ადგილის მოწყობის საპროექტო წინადადებას, რომელიც უძრავი ქონების საინვესტიციო კომპანია „GRDC“ ჯგუფის მხარდაჭერით შემუშავდა საქართველოს საპატრიარქოში.

**საქართველოს საპატრიარქო.** *23 სექტემბერი, 2005*

◉ ინფორმაცია

### საქართველოში ყაზახეთის პრეზიდენტი ჩამოდის

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე საქართველოში ყაზახეთის ელჩის მოვალეობის შემსრულებელს ნაურის აიდაროვს შეხვდა.

ბურჯანაძემ ყაზახეთის დიპლომატიური მისიის წარმომადგენელთან საქართველოში სექტემბრის ბოლოსთვის ყაზახეთის პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევის ოფიციალური ვიზიტის საკითხები განიხილა.

ბურჯანაძისა და აიდაროვის შეხვედრაზე, აგრეთვე, საქართველო-ყაზახეთის საერთო ეკონომიკური ინტერესების შესახებაც იმსჯელეს.

### ეუთო ცესკოს 7 ათას ევროს გამოუყოფს

საქართველოში საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების პროცესს ეუთო დააფინანსებს. ამისთვის ის ქართულ მხარეს 7 000 ევროს გამოუყოფს. სწორედ ამას ითვალისწინებს ხელშეკრულება, რომელსაც გუშინ ხელი ცესკოს თავმჯდომარემ გია ქავთარაძემ და ეუთოს წარმომადგენელმა საქართველოში როი რივიმ მოაწერეს.

როგორც გია ქავთარაძემ აღნიშნა, სერტიფიცირება ტესტირების სახით ჩატარდება. პროფესიონალების მიერ უკვე მომზადებულია 3 000 ტესტი, რომელთა ბეჭდვაც ორშაბათიდან დაიწყება.

ტესტირება შეეხება ყველა საარჩევნო მოხელეს, გარდა ცესკოს მოქმედი წევრებისა.

მედიანიუსი

### საკონტროლო კომისიის შეხვედრების გაგრძელებას მიზანშეწონილად თვლის

სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩის ვალერი კენიაკინის ვიზიტი დასრულდა.

კენიაკინი დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს რვა საათის განმავლობაში ხვდებოდა.

თავდაპირველად მას შეხვედრა ჰქონდა სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტ ედუარდ კოკოითთან, თუმცა კოკოითის გარდა, იგი განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრს ბორის ჩოჩიევს და სხვა მაღალჩინოსნებსაც შეხვდა.

ინტერპრესნიუსის ინფორმაციით, კენიაკინი ცხინვალში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების სარდალს, გენერალ მარატ კულახმეტოვსაც შეხვდა.

მისი განცხადებით, შეხვედრა შეეხებოდა ბოლო დღეებში განვითარებულ მოვლენებს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში. კენიაკინი კონფლიქტის ზონაში ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში შექმნილ ვითარებას რთულს უწოდებს, თუმცა აცხადებს, რომ ოთხმხრივი შერეული საკონტროლო კომისიის ფორმატით შეხვედრების, მოლაპარაკებების გაგრძელებას მიზანშეწონილად თვლის.

### პარლამენტარებს ბიუჯეტთან დაკავშირებით სემინარები ჩაუტარდებათ

პარლამენტარებს ბიუჯეტთან დაკავშირებით სემინარები ჩაუტარდებათ.

სახელმწიფო კანცელარიაში მთავრობის გუშინდელ სხდომაზე, შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა დააყენა საკითხი, რომ შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც პარლამენტის წევრებს სემინარებს ჩაუტარებს.



„წინა პარლამენტში ბიუჯეტის სეკვესტრზე უფრო ნაკლები აჟიოტაჟი იყო, ვიდრე ახლა გაზრდილ ბიუჯეტზეა. ეს იმის მანიშნებელია, რომ ოპოზიცია კვალიფიცირებული არ არის“, – განაცხადა მერაბიშვილმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის განცხადებით, მომავალ კვირას პარლამენტში 2005 წლის ბიუჯეტის განხილვა დასრულდება. 2006 წლის ბიუჯეტის პროექტზე კი მთავრობა უახლოეს დღეებში დაამთავრებს მუშაობას და პარლამენტს გადაუგზავნის.

„წელს ბიუჯეტის უკვე მესამედ გაზრდამ ზოგიერთის უკმაყოფილება გამოიწვია, მაგრამ საქართველოს დღევანდელი მთავრობა მყარად იქნება ერთგული აღებული კურსის და ბიუჯეტში თუ იქნება ცვლილებები, მხოლოდ და მხოლოდ ზრდის კუთხით“, – განაცხადა ნოღაიდელმა.

ინტერპრესნიუსი

◉ პანორამა

სუ-27 ტიპის თვითმფრინავთან დაკავშირებული ინციდენტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ რუსული თვითმფრინავები საფრთხეს უქმნიან ლიტვის, ევროკავშირისა და ნატოს უშიშროებას. ინციდენტის გამოძიების დროს ლიტვაში ვერ იპოვეს ისეთი ფაქტი, რომელიც დაადასტურებდა ვერსიას, რომ ავიაგამანადგურებლის ჩამოვარდნა პროვოკაცია იყო. მაგრამ საფრთხეს წარმოადგენს არა მარტო ის, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე დაფრინავენ რაკეტებით შეიარაღებული ავიაგამანადგურებლები, არამედ ისიც, რომ ამ თვითმფრინავებში ხშირად მწყობრიდან არის გამოსული სანავიგაციო ხელსაწყოები, დედამიწიდან მათი მართვა ქაოსურია, გარდა ამისა, ავიაგამანადგურებლების სათბობით გაწყობისას ცდილობენ საწვავის ეკონომიას, აცხადებს ლიტვის თავდაცვის სამინისტრო.

* * *

ამერიკელი მეტეოროლოგის სკოტ სტივენსის მტკიცებით, „კატრინა“ შეერთებული შტატების ტერიტორიისკენ მიმართეს ჯერ კიდევ სსრ კავშირის დროს შემუშავებული საიდუმლო „ამინდის“ იარაღის მეშვეობით. მეტეოროლოგი აცხადებს, რომ დამანგრეველი ძალის ქარიშხალი, რომელსაც ათასობით ამერიკელი ემსხვერპლა, ხელოვნურად იყო წარმოქმნილი. ეს იარაღი ეფუძნება ელექტრომაგნიტური გე-



ნერატორის პრინციპს. სტივენსის თქმით, „რუსებმა ჯერ კიდევ 1976 წელს შეიმუშავეს შტორმის გამომწვევი ტექნოლოგია და გასული საუკუნის 80-იანი წლების დამლევისთვის მიჰყიდეს იგი მსოფლიოს სულ ცოტა ათ სახელმწიფოსა და ორგანიზაციას“.

◉ გვეხმაურებიან

## სიმართლე კი ასეთია...



წავიკითხეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 22 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებული წერილი სათაურით „ბარამიძის ცინიზმს ბოლო არ უჩანს. საქართველოსთვის დაცემულ გმირთა დედების წერილი პრეზიდენტს“, რომელსაც ხელს აწერს ქალბატონი ნინო კვესაძე. იგი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლის დროს დაღუპულის დედად გვაცნობს თავს და უკმაყოფილოა, რომ მის შვილს და ოჯახს ვეტერანის სტატუსს არ აკუთვნებენ.

მოგახსენებთ, რომ ქალბატონ ნინო კვესაძის შვილი 1989 წელს... ექსკურსიაზე ყოფნის დროს დაიღუპა, აფხაზეთში საომარი მოქმედებები კი 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო. გამომდინარე აქედან, მას ვეტერანის სტატუსი არანაირად არ ეკუთვნის.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქალბატონ ნინო კვესაძეს მარჩენალდაკარგულის ყალბი საბუთი აქვს და მისი საქმე სასამართლოშია. წესით და რიგით, ქალბატონმა ნინომ და იმ პირებმა, ვინც მას ყალბი საბუთის მომზადებაში დახმარება გაუწიეს, კანონის წინაშე პასუხი უნდა აგონ.

როდესაც ომში დაღუპულ ბიჭებსა და მათ ოჯახებზეა საუბარი, უმორჩილესად გთხოვთ, კარგად გაერკვეთ, ვინ ვინ არის და ამ ფაქიზ თემას ისე შეეხოთ.

იმედია, რომ ამ გამოხმაურების გამოქვეყნებით თქვენი გაზეთი უნებლიე შეცდომას გამოასწორებს და გაანელებს მართლაც ომში დაღუპულთა ოჯახების, დაღუპულთა სულებისა და მათი ახლობლების გულისტკივილსა და შეურაცხყოფას, რომელიც მათ 22 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებულმა წერილმა მიაყენა.

**აფხაზეთსა და სამაჩაბლოში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა მშობლების სახელით:**

**ნანა სუხიაშვილი, ლუბა ხელაძე, მარიკა სამხარაძე, მაყვალა ბარათაშვილი.**

**რედაქციისაგან:** ავტორთა გულისტკივილი ჩვენთვის გასაგებია. ვბეჭდავთ რა მათ პასუხს, უპირველეს ყოვლისა, ამით ბოდიშს ვიხდით ჩვენდა უნებურად დაშვებული შეცდომისთვის, ამავდროულად იმედს ვიტოვებთ, რომ ხელისუფლება კვლავაც ყურადღებას დაუთმობს ომის ვეტერანებსა და მათ ოჯახებთან დაკავშირებულ აქტუალურ პრობლემებს.

## აფრიკული პრეზიდენტები ცხვირს პიჯაკის სახელოთი იწმენდენ

იხ. მე-2 გვ.

## ჰიტლერს ენისეიმდე მისვლა შეეძლო?

იხ. მე-4 გვ.

## შეთქმულება მშვიდობის-მყოფელთა წინააღმდეგ

იხ. მე-2 გვ.



◎ ეხო

# ვგმობთ ცხინვალში მომხდარ ინციდენტს

## აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი, პრესსპიკერის სიენ მაკკორმეკის განცხადება სამხრეთ ოსეთის ინციდენტთან დაკავშირებით

**ვაშინგტონი, 2005 წლის 22 სექტემბერი**

**ვგმობთ 20 სექტემბერს ცხინვალში მომხდარ ინციდენტს, რომლის შედეგად 10 ადამიანი, მათ შორის ქალები და ბავშვები დაიჭრა.**

მივმართავთ საქართველოს ხელისუფლებას, რომ სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებასთან დაკავშირებით ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად გადაუდებელი ზომები მიიღოს, რაც ასევე იმ პირების პასუხისგებაში მიცემას ითვალისწინებს, რომლებსაც უდანაშაულო ხალხის მიმართ ყოვლად გაუმართლებელ ძალადობის აქტზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ. ამ საკითხზე ჩვენი დამოკიდებულების გამოხატვის მიზნით, 21 სექტემბერს საქართველოში აშშ-ს ელჩი ჯონ ტეფტი მიხეილ სააკაშვილს შეხვდა.

აშშ მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მოუწოდებს ყველა მხარეს, რომ სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარებასთან და რეგიონის სტატუსის საქართველოს შემადგენლობაში გადაწყვეტასთან დაკავშირებით, სამშვიდობო შეთანხმებას მიაღწიონ.

მოვუწოდებთ ყველა დაინტერესებულ მხარეს, რომ დაძაბულობის განმუხტვისა და კონფლიქტის მოგვარებისთვის ნიადაგის მომზადების მიზნით, თავშეკავება გამოიჩინოს და არსებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შეასრულოს.

მოვუწოდებთ რუსეთის ფედერაციას, პატივი სცეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და თავი შეიკავოს თვითთაღიარებული სამხრეთ ოსეთის ლიდერთა მხარდაჭერისაგან. ჩვენ ასევე მოვუწოდებთ რუსეთის ფედერაციას, რომ არ დაუშვას კონფლიქტში მონაწილე მხარეებს შორის პროვოკაცია, რადგან ჩვენ საერთო ძალისხმევით სამშვიდობო შეთანხმების მიღწევაზე ვმუშაობთ.

**ჩვენ ასევე მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას, რომ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიზნით, სწრაფი ქმედებები განახორციელოს და არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად, სათანადო ზომები მიიღოს.**

◎ ფრთხილად!

# შეიძლება ცხინვალიდან თბილისი დაბომბონ



**ახალხან ოსებმა დამოუკიდებლობის 15 წლისთავი იზეიმეს, იმავე დღეს ცხინვალში ინციდენტი მოხდა, ამ შემთხვევის შეფასება პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძეს ვთხოვეთ.**

– ქართველებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ზეიმის ის ფორმა, როგორც ეს ოსებმა გააკეთეს. ხოლო ის ფაქტი, რაც დემონსტრაციული აქციის შემდეგ მოხდა, ყველანაირ ზღვარს სცილდება. ისედაც შეკოწიწებულ მშვიდობიანობას დროებით წერტილი დაესვა. ჩვენ, ერთი წლის წინათ ანალოგიურად გავამწვავეთ ოსეთთან ურთიერთობა, რასაც მოჰყვა კოკოითის გაძლიერება, რეგიონში რუსეთის ფაქტორის გამყარება, და კონფლიქტის ქართულ მოდელში დარეგულირების ალბათობის შემცირება. ერთმა მოუფიქრებელმა ნაბიჯმა 10-15 წლის უკან გადაგვაგდო.

**– ეს ხელისუფლების დაუფიქრებელი ნაბიჯის შედეგად მოხდა? საზოგადოების გარკვეული ნაწილი უკმაყოფილოა ხელისუფლების მიერ კონფლიქტის ზონებში წარმართული პოლიტიკით...**

– თუ ეს ხელისუფლება სუსტია, კორუმპირებულია და ა. შ. მაშინ, უპირველესად, დამნაშავე ისევ ხალხია, რომელმაც ეს ხელისუფლება აირჩია. შეცდომა შეიძლება ნებისმიერმა ხელისუფლებამ დაუშვას, მაგრამ იმის პასუხისმგებლობაც ავიღოთ ჩვენ თავზე, რომ როგორც ამომრჩევლები, ასეთ შეცდომებს ხშირად ვუშვებთ.

**– უშუალოდ ამ ინციდენტში, თქვენი აზრით, ვისი ხელი ურევია?**

– რუსეთის ინტერესი, ცხადია, დიდია, მაგრამ ხელწერა ვისია, ეს ძნელი სათქმელია. ადამიანური თვალსაზრისით დაუშვებელია და პიროვნულადაც ვერ წარმომიდგენია ქართველი, რომელიც ამ ტიპის გაუთვლელ ნაბიჯს გადადგამდა. ისე, ემოციურ ფონზე, შეიძლება კონკრეტულ პირს ამგვარი ქმედება ჩაედინა, რადგან ქართველები ემოციის ამყოლები ვართ. შეიძლება რაღაც ისეთი გავაკეთოთ, რაც იმ წუთს გვსიამოვნებს, მაგრამ რა მოჰყვება ამ სიამოვნებას, ამაზე არ ვფიქრობთ. ველარ ვისწავლეთ, რომ თითოეულ ნაბიჯზე დაფიქრება გვმართებს.

**– ბატონო რამაზ, დღეს რამდენად არის შესაძლებელი კონფლიქტის ზონიდან რუსი მშვიდობისმყოფელების გაყვანა და იქ ნეიტრალური ქვეყნის ცისფერჩაფხუტიანების ჩაყენება?**

– რუსები იქ 90-იანი წლებიდან არიან, მაშინ საქართველოსკენ არც ერთი ქვეყანა არ იხედებოდა, არავინ იყო თანახმა რუსეთს საქართველოს გულისთვის დაპირისპირებოდა. დღევანდელი საქართველო კი, რომელსაც ნავთობსადენი აქვს ილლიაში ამოდებული, უკვე სხვა რამეა. დღეს კონფლიქტის ზონიდან რუსეთის სამშვიდობო მისიის გაყვანისთანავე, ის ყველა მექანიზმს აამუშავებს იმისათვის, რომ იქ მშვიდობა აღარ იყოს. მშვიდობის დაცვა მისი მოვალეობა უკვე აღარ იქნება. დღეს უკრაინამ და თურქეთმა განაცხადეს თანხმობა კონფლიქტურ ზონაში მათი მშვიდობისმყოფელების განლაგების თაობაზე. ეს ჩვენთვის მისაღები იქნება.

**– მაგრამ ეს, ალბათ, კიდევ უფრო გაამწვავებს დაძაბულ ურთიერთობას, საზოგადოება ომის დაწყების საშიშროებასაც ხედავს.**

– მორალურად საქართველოს ყველანაირი ნაბიჯს გადადგმის უფლება აქვს. თუ გვექნება საერთაშორისო მხარდაჭერა, ოპერატიულობა, ანუ სამხედრო თვალსაზრისით თუ ყველაფერი ისე იქნება წარმოებული, რომ რუსეთი ვერ მოასწრებს რეაგირებას, მაშინ, საკითხი პრაქტიკულად გადაწყდება. თუმცა, არსებობს დიდი რისკი, რომ შეიქმნას გრძელვადიანი კონფლიქტი. ამისთვის რუსეთი, წინა წლისგან განსხვავებით, მზადაა. დღეს საკმარისია სიტუაციის კიდევ უფრო გამწვავება და ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ თბილისიდან სულ რაღაც 60 კილომეტრში მთელი რუსული არმია და იარაღი გაჩნდება. თუ კარგად გავაცნობიერებთ, ეს კონფლიქტი თბილისსაც რისკის ქვეშ აყენებს, რადგან ოსეთიდან თბილისის დაბომბვამდე აღარაფერი რჩება.

**– მაგრამ ქართული მხარე არის კი მზად, რომ გრძელვადიანი კონფლიქტი აწარმოოს?**

– მთელი მსოფლიო ებრძოდა ჰიტლერის საომარ ეკონომიკურ მანქანას, მას არასდროს შემოკლებია იარაღი, ტყვიაწამალი და ა. შ. ჰიტლერიც და სტალინიც ომისთვის მზადებას ეკონომიკური თვალსაზრისით იწყებდნენ. როდესაც ეკონომიკური ბაზის გარეშე ომში ჩაება ნიკოლოზის რუსეთი, ამ ომმა სოციალური აფეთქებების და რევოლუციის პროვოცირება მოახდინა და საერთოდ დაინგრა სახელმწიფო. ამდენად, თუ რუსეთთან კონფლიქტის შედეგად შეირყა საქართველო, თუ ოსეთში მოგებით არ დამთავრდა ოპერაცია, ჩათვალეთ რომ მთელი საქართველო საფრთხის წინაშე დადგება. თუ დაპირისპირებისას გვერდში დაგვიდგება მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები, საერთაშორისო სტრუქტურები, მაშინ გარკვეული მიზნების მიღწევა მინიმალური დანაკარგით გარანტირებული გვაქვს.

**– ჯერ მაინც გამოსავლაზე ვიფიქროთ...**

– უნდა დაიწყოს შეხვედრების განახლება, რათა ბოიკოტის რეჟიმმა არ შეიძინოს ინერცია. შემდეგ ამ ინერციის გარღვევა რთულია. ამ ინციდენტში დამნაშავე უნდა მოიძებნოს, რათა ვითარება ურთიერთდაპირისპირებაში არ გადაიზარდოს. ამასთან, უნდა მოხდეს ოპორატიული ჩარევა საერთაშორისო ორგანიზაციებისა, რათა ამ ინციდენტის ნაკვალევი მეტ-ნაკლებად გადაიფაროს.

ესაუბრა
**ლელა ხვადაგიანი**

◎ კვირის თვალსაწიერი

# აჯაგრული პრეზიდენტები ცხვირს პიჯაკის სახელოთი იწმენდენ

**ამ კვირის მთავარი მოვლენა ცხინვალში გამართული „დამოუკიდებლობის 15 წლისთავისადმი“ მიძღვნილი ზეიმი იყო**

**გინდ ასე თქვი, გინდ ისე, ქოქოითის ეს ღონისძიება, ჩვენი გულის გასახეთქად, მართლაც გამოუვიდა. განსაკუთრებით აშკარა პროვოკაცია – სამხედრო აღლუმი ტანკებით (არადა, მძიმე ტექნიკა წესით იქ არ უნდა იყოს!) და მიწვეულ სტუმრების ფართო სპექტრი...**

ჩრდილო ოსეთის-ალანიის პრეზიდენტმა თეიმურაზ მამსუროვმა ქოქოითთან ერთად თვითგამოცხადებული რესპუბლიკის დროშის აწევაში მიიღო მონაწილეობა, ხელი მოაწერეს ე. წ. ორი ოსეთის გაერთიანების შესახებ ერთობლივ განცხადებას.

თბილისს კი ისღა დარჩა, რომ რუსეთის ხელისუფლებას პროტესტით მიმართოს, ღიად რატომ უჭერ მხარს ოს სეპარატისტებს, ასეთი პოლიტიკა საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევას ნიშნავსო.

მაგრამ, რამდენიც უნდა ვაპროტესტოთ, სამართლებრივი კუთხით წინააღმდეგობას ვერ ვუწევთ, რადგან ცხინვალის რეგიონს ვერ ვაკონტროლებთ. ყველა, ვისაც კი რუსეთი საზღვარზე გამოატარებს, სულ ტაშფანდურით შედის ცხინვალსა და აფხაზეთში.

მაგრამ ალანიის პრეზიდენტი ვიღაცა არ არის. ჩრდილოეთ ოსეთი რუსეთის ფედერაციის სუბიექტია და მოსკოვმა რამდენიც უნდა ამტკიცოს, მამსუროვი რუსეთის კი არა, თავისი სახელით მოქმედებსო, მის საქციელზე პასუხისმგებლობა სწორედ კრემლს ეკისრება. მან მშვენივრად იცის, რომ საერთაშორისო ხელშეკრულების თანახმად, რომლის მონაწილეც თვითონვეა, ე. წ. „სამხრეთ ოსეთი“ საერთაშორისო სამართლის სუბიექტი არ არის და მასთან ურთიერთობის უფლება სახელმწიფოებს და მათ შემადგენელ ნაწილებს არა აქვთ. საერთაშორისო ხელშეკრულებით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღიარებულია. შესაბამისად, სეპარატისტულ ხელისუფლებასთან ურთიერთობა საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევად განიხილება.

მაგრამ ასეთი ჩარევები ბევრი გვინახავს და ალბათ ბევრს კიდევ ვნახავთ. სამწუხაროდ, მხოლოდ ოდენ პროტესტების განცხადება გვრჩება საპასუხო ღონისძიებად, მეტის ილაჯი არ გვაქვს.

მაგრამ კვლავ ცხინვალის ზეიმს დავუბრუნდეთ, ამჯერად ირაკლი ოქრუაშვილმა უფრო ქმედით ზომას მიმართა, ვიდრე წინა კვირას აფხაზეთის ტყეებში საიდუმლო ღამის თევები იყო და ზეიმიდან როკის გვირაბისკენ გაბრუნებულ ქოქოითის სტუმრებს გზაზე გადაუდგა, საქართველოში შემოსასვლელი ვიზები რატომ არ გაქვთო. კედელთან არ მიუყენებია, მაგრამ ის კი გააკეთა, რომ ორი საათი აყურყუტა ნაქეიფარი სტუმრები და გუნება წაუხდინა. ის სხვა საქმეა, რამდენად იყო არსენასავის გზაზე გადადგომა თავდაცვის მინისტრის საქმე. თუ მაინცდამაინც, იქნებ შინაგან საქმეთა მინისტრისთვის ყოფილიყო უპრიანი!

თუმცა ეს კია: რადგან ირაკლი ოქრუაშვილს უფრო აქვს „ბუას“ იმიჯი, გვარიანად დააფეთა ცხინვალში მყოფი ქოქოითის თანამოსაგრე აფხაზეთის ლიდერი, როცა განაცხადა, ბაღაფში უნდა ჩავიგდო ხელშიო.

მართლაც დაფეთებული რომ იყო, იმითაც ჩანს, რომ აფხაზთა დელეგაცია ცხინვალის დატოვებას იმავე დღეს, სადღესასწაულო ხაბიზგინით ყელის ჩაკოკლოზინებისთანავე აპირებდა, მაგრამ ბაღაფშმა წასვლა გადადო, არა „მოსალოდნელი შეპყრობის შიშით, არამედ ქოქოითის სოლიდარობის გამო“ (ისე, ჩვენში დარჩეს და თუ ოქრუაშვილი ბაღაფშის დატყვევებას მართლა აპირებდა, ტელევიზიით რატომ გაამხელდა ცხინვალის შესატყობინებლად?)

ამას ის დაერთო, რომ საღამოს ცხინვალში სამი ნაღმი ჩავარდა „ნიქოზის მხრიდან“. რა მოხდა, ვინ ისროლა, რატომ ისროლა, ეს გამოსაკვლევ-გამოსაძიებელია, თუმცა ამთავითვე შეიძლება თქმა, რომ ეს ყოვლად ბრიყვული და სახიფათო ქმედება იყო შესაძლო შორს მიმავალი შედეგებით. მადლობა ღმერთს, მსხვერპლი არ მოჰყოლია.



მთავარი სწორედ ამ იდუმალი ნაღმების შემდეგ დაიწყო. როცა ბაღაფშმა დაბომბილი ფარდული დაათვალიერა, მან უმალ აცნობა ჟურნალისტებს: **ბრძანება გავეცი, აფხაზეთის შეიარაღებულ ძალთა საბრძოლო მზადყოფნის შესახებ. ამას ორი საათი დასჭირდება. ორი საათის შემდეგ კი, თუ აქ რაიმე გაგრძელდება, ჩვენი ჯარების აღმოსავლეთი ჯგუფი წინ წაიწევს ზუგდიდის მხარეს საბრძოლო ტექნიკით, ავიაციით და სხვა დანარჩენი რამეებითო.**

მისი ეს საკუთარი თავის გასამხნევებელი ფახი-ფუხი, ასე თუ ისე, გასაგებია, მაგრამ აქვე ისიც თქვა, რაც ნამდვილად არ უნდა ეთქვა, რაც პოლიტიკოსსა და სახელმწიფო მოღვაწეს (კაცი, მართალია უღიარებელი, მაგრამ მაინც რესპუბლიკის პრეზიდენტია) არ ეკადრება: **რაც ჩვენს დღეს საავადმყოფოში ვიხილეთ, ბესლანის გაგრძელებაა და ტერორისტების ძებნა საჭიროა არა სხვაგან, არამედ საქართველოში, პირველი მათგანი ოქრუაშვილიაო.** ისიც მიაყოლა, ოქრუაშვილს ჩემი დაჭერა აქვს განზრახული, მაგრამ ვინ ვის დაიჭერს, ამას დრო გვიჩვენებსო...

ერთი სიტყვით, ბესლანი საქვეყნოდ ქართველებს შეგვაწმინდა, ირაკლი ოქრუაშვილი კი ბინ ლადენის მარჯვენა ხელად გამოაცხადა.

იქით ქოქოითი ამოღუღდა: სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები საბრძოლო მზადყოფნაშია. ჩვენ გვესმის, რომ ყოველივე ეს იმისთვის გაკეთდა, რათა ზეიმი ჩაეშალათ. მე მოვინახულე ცხინვალის საავადმყოფო და იმ აზრამდე მივედი, რომ ქართველ ხალხს ქირურგიული ოპერაცია სჭირდება. და ჩვენ მას ამ ოპერაციას გავუკეთებთ, საქართველოში კიბოს სიმსივნის გამოსავლენადო.

მართალია, მას არ დაუკონკრეტებია, ვის მოიაზრებდა ამ „ჩვენ“-ში, მხოლოდ თავის თავს და თავის ჯარს, ორივე, გაღმა-გამოღმა ოსეთს, ცხინვალს და სოხუმს, თუ ყველას ერთად სრულიად რუსეთიანად, მაგრამ რიხიანად კი თქვა, ოღონდ არ ვიცი, იმ დროს კვლავ პიჯაკის სახელოთი გაიწმინდა ცხვირი, როგორც მანამდე ტრიბუნაზე საზეიმო სიტყვის წაკითხვისას, როცა შესძახა, ვამაყობ, რომ ოსი ხალხის შვილი ვარ, დიდ რუსეთს გაუმარჯოსო.

ერთი სიტყვით, განდგომილი ბაღაფში და ქოქოითი არა მარტო გვაგინებენ, არამედ გვემუქრებიან.

ჩვენ კი, როგორც ზემოთაც ვთქვი, ახალ საპროტესტო რელაციებს ვთხზავთ მსოფლიოს ოთხივ კუთხით გასაგზავნად...

**ახლა** ცხინვალიდან თბილისში ჩამოვინაცვლოთ.

ამას წინათ „კომსომოლსკაია პრავდაში“ ორი გამოკითხვის შედეგები წავიკითხე. პირველის კითხვა ასეთი იყო: „ითვლება, რომ მოსკოველთა კეთილდღეობა უფრო მაღალია, ვიდრე მთლიანად რუსეთის მცხოვრებლებისა, რასთან არის ეს დაკავშირებული?“ აი, პასუხები: გამოკითხულთა 46 პროცენტი მიიჩნევს, ეს იმის გამოა, რომ მოსკოვი რუსეთის დედაქალაქია, აქ თავმოყრილია ქვეყნის მთელი ხელისუფლება და საქმიანი ცხოვრებაო, 13 პროცენტი – მოსკოვში უფრო ენერგიული ხალხი ცხოვრობსო, 46 პროცენტი კი დარწმუნებულია, მოსკოველთა კეთილდღეობის თავი და თავი ის არის, რომ მოსკოვს ხელმძღვანელობს იური ლუჟკოვი, რომელიც აქტიურად იცავს მოსკოველთა ინტერესებსო.

ახლა მეორე, სხვა საკვლევი ცენტრის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგს გავეცნოთ. კითხვაზე, „როგორ უყურებთ მოსკოვის მერის პოსტიდან იური ლუჟკოვის ვადამდელ გადადგომას?“ 81 პროცენტმა უპასუხა, უარყოფითადო, მხოლოდ 12 პროცენტის სურს მისი თანამდებობიდან წასვლა, 7 პროცენტს კი უჭირს პასუხის გაცემა.

აი, მერი!

საინტერესოა, იგივე კითხვები თბილისელებს რომ დავუსვათ, რა პასუხებს მივიღებთ?

ვითომ გამოკითხულთა თითქმის ნახევარი (46 პროცენტი) იმას იტყვის, საქართველოს დედაქალაქის მცხოვრებთა სხვაზე უკეთესი ყოფა(?) ჩვენი მერის გიგი უგულავას (ან ზურაბ ჭიაბერაშვილის) დამსახურებაა, ის გვიდგას ფარად და კბილებით იცავს ჩვენს ინტერესებსო? ან თითქმის ერთხმად (81 პროცენტი) შესძახებს, ეგ რომ თანამდებობიდან გადააყენოთ, დავიღუპებითო?

მეტი არაა ჩემი მტერი!

თუნდაც ავტობუსის საათიან მოლოდინში აჯაგრულ საბურთალოელებს დაუსვით ეგ კითხვა და მიხვდებით, რასაც ფიქრობენ არა მარტო ქალაქის მერზე, არამედ ქვეყნის ხელისუფლებაზე საერთოდ, თანაც ჩუმად, თავის გულში კი არა – სახალხოდ, ქვეყნის გასაგონად, ქოქოლის დაყრით.

ეს ერთი რიგითი და არც თუ არსებითი მაგალითია, მაგრამ მასში, როგორც ერთ წვეთში მთელი ოკეანე, ისე ჩანს მავანთა უთაურობა. მართლაც: რომ დაეტაკნენ და აკრძალეს ცენტრისკენ სამარშრუტო მიკროავტობუსების მოძრაობა, ჯერ ავტობუსების პარკი დაეკომპლექტებინათ სრულად და მერე გამოეცათ ის ბრძანება. რად აღავლავებენ ამ ხალხს, რად ალანძღვინებენ თავს?...

**ალეკო ასლანიშვილი**

◎ ინფორმაცია

## ყველა ეთნიკური აფხაზი „აფხაზეთის მოქალაქედ“ გამოცხადდა

**აფხაზეთის** თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პარლამენტმა გუშინ საშემოდგომო სესიის პირველივე სხდომაზე, პირველი მოსმენით მიიღო კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში მცხოვრები აფხაზი ეროვნების მოქალაქეები აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მოქალაქეები გახდნენ.

კანონის შესაბამისად, „აფხაზეთის მოქალაქეებად“ ასევე მიიჩნევიან პირები, რომლებიც აფხაზეთის ტერიტორიაზე უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ და ის პირები, რომლებსაც 1999 წლის 12 ოქტომბერს აფხაზეთის მიერ დამოუკიდებლობის აქტის მიღების შემდეგ წერილობით არ უთქვამთ უარი აფხაზეთის მოქალაქეობაზე.

კანონპროექტის მეშვიდე მუხლი უშვებს ორმაგ, აფხაზეთისა და რუსეთის მოქალაქეობას. „აფხაზეთის მოქალაქეებს აფხაზეთის მოქალაქეობიდან გაუსვლელად უფლება აქვთ მიიღონ მხოლოდ რუსეთის მოქალაქეობა“, – ნათქვამია აფხაზური პარლამენტის მიერ გუშინ პირველი მოსმენით მიღებულ კანონპროექტში.

აფხაზ სპეციალისტთა მონაცემებით, დღეისთვის მსოფლიოში 700 ათასზე მეტი ეთნიკური აფხაზი ცხოვრობს. მათი უმრავლესობა, დაახლოებით 500 ათასამდე თურქეთის მოქალაქეა.

## საპროტესტო აქცია გია ნოდიას წინააღმდეგ

**პარლამენტის** ყოფილმა წევრმა გურამ შარაძემ და ექს-პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მეუღლემ მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ გუშინ გენერალური პროკურატურის წინ არასამთავრობო ორგანიზაცია „კავკასიის ინსტიტუტის“ დირექტორის გია ნოდიას წინააღმდეგ საპროტესტო აქცია გამართეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შარაძემ განუცხადა, მან გენერალურ პროკურატურაში 10 დღის წინათ ნოდიას წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა, სადაც მას ქრთამის აღებასა და თაღლითობაში ადანაშაულებს.



ამ დროის მანძილზე შარაძეს პროკურატურიდან არანაირი პასუხი არ მიუღია. „მოვითხოვ, აღიძრას სისხლის სამართლის საქმე ნოდიას წინააღმდეგ. გამოკვლეულ იქნას მისი საქმიანობა, რადგან მან ცოლის სახელზე გააფორმა ის ქრთამი, რომელსაც მას სოროსი უხდის და გრანტების სახით იღებს. გია ნოდია არ დაჯერდა ამას და ამ დროისათვის თსუ-ს აკომპლექტებს“, – აღნიშნა შარაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

## „მწვანეების“ ბრალდებას უარყოფს

**სახელმწიფო** სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის უფროსი დავით მესხიშვილი უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს თბილისის წყალმომარაგების სისტემაში არსებული სანიტარიული ზონები დაბინძურებულია.

დავით მესხიშვილი აცხადებს, რომ საქართველოში არ მოქმედებს კანონი, რომელიც სანიტარიულ ზონების საზღვარს არეგულირებს.

„ჩემთვის გაუგებარია, რატომ აცხადებს „მწვანეთა პარტიის“ ლიდერი, თითქოს მდინარე არაგვზე ხელისუფლების წარმომადგენელთა კუთვნილი სახლების მშენებლობის უფლება მე გავეცი. მინდა შევახსენო გიორგი გაჩეჩილაძეს, რომ როდესაც თბილისის წყალმომარაგების სისტემაზე ეს მშენებლობები დაიწყო, მე ექვსი წლის ვიყავი,“ – განუცხადა „მედიანიუსს“ დავით მესხიშვილმა.

**მედიანიუსი**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# შეთქმულება მშვიდობისმყოფელთა წინააღმდეგ

ოლეგ გორუპაი.
„კრასნაია ზვეზდა“ (რუსეთი).

КРАСНАЯ ЗВЕЗДА

**ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარემ – საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში გიორგი ხაინდრავამ კიდევ ერთხელ წამოჭრა კონფლიქტის ზონაში რუსი სამშვიდობოების ყოფნის მიზანშეწონილობის საკითხი.**



ეს ხაინდრავამ იმით დაასაბუთა, თითქოს სწორედ რუსი მშვიდობისმყოფლები უწყობენ ხელს კრიმინალის აყვავებას რეგიონში და უქმნიან დაბრკოლებებს კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციის პროცესს. აღსანიშნავია, რომ ხაინდრავამ ასეთი განცხადება გააკეთა ჯერ კიდევ ვლადიკავკაზში დანიშნული შერეული საკონტროლო კომისიის სხდომის დაწყებამდე და საქართველოში შეერთებული შტატების ელჩთან ჯონ ტაფტთან უშუალო რანდევუს წინ, რომლის დროსაც ხაინდრავამ ამერიკელ დიპლომატს გააცნო ახალი „ინიციატივები“ სამხრეთ ოსეთის პრობლემის მოგვარების თაობაზე.

თავის განცხადებებში ხაინდრავა საკმაოდ თანამიმდევრულია. ჯერ კიდევ 22 ივნისს მოსკოვში მან ამცნო მსოფლიო გაერთიანებას იმის თაობაზე, რომ საქართველომ შეიძლება წამოჭრას ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ოპერაციის შემდგომი განხორციელების მიზანშეწონილობის საკითხი. „თუ კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალები ვერ უზრუნველყოფენ უშიშროებასა და მართლწესრიგს, ჩვენ დავსვამთ ამ რაიონში სამშვიდობო ოპერაციის შესრულების მიზანშეწონილობის საკითხს“, – თქვა მან მაშინ, როცა შეეხო კონფლიქტის მოგვარების შერეული საკონტროლო კომისიის საგანგებო სხდომის შედეგებს. ალბათ, ხაინდრავას მიაჩნია, რომ დადგა ამ საკითხის წამოჭრის დრო.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტიც, რომ ეს მხოლოდ საქართველოს მხრიდან შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარის აზრი არ გახლავთ. როგორც ჩანს თბილისში მზადდება ასეთი სახის განცხადებათა მთელი კომპლექსი. სავარაუდოდ, ყოველივე ეს განხორციელდება უკვე კარგად შემუშავებული სცენარით და განმეორდება საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გატანასთან დაკავშირებული სიტუაცია. როგორც ჩვენ გვახსოვს, მარტში საქართველოს პარლამენტმა მიიღო ულტიმატუმის ხასიათის დადგენილება „საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზების შესახებ“. დადგენილებაში პარლამენტარები დაიმუქრნენ, რომ მიმართავდნენ ძალისმიერ აქციებს რუსი სამხედროების მიმართ, თუ მოსკოვი ორი თვის განმავლობაში არ მიიღებდა გადაწყვეტილებას, თავისი საჯარისო ფორმირებების გაყვანის შესახებ.

ისტორია მეორდება. ზოგიერთი ქართველი პარლამენტარის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ამზადებს დადგენილების პროექტს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის თვითაღიარებულ რესპუბლიკებში სამშვიდობო პროცესთან დაკავშირებული საქმის „რეალური“ მდგომარეობის შესახებ, რომელსაც განიხილავენ 27-30 სექტემბერს პლენარულ სხდომაზე. ეს საკითხი უკვე განიხილეს 19 სექტემბერს გამართულ პარლამენტის ბიუროს სხდომაზე. სპიკერმა ნინო ბურჯანაძემ პარლამენტის შესაბამის კომიტეტებს დაავალა გულდასმით შეისწავლონ მოცემული საკითხი და მოამზადონ თავიანთი წინადადებები. გამორიცხული არ არის, რომ თბილისმა ამ შემთხვევაშიც წამოაყენოს ულტიმატუმი, მოსთხოვოს მოსკოვს რუსული სამშვიდობო კონტინგენტის გაყვანა კონფლიქტის ზონიდან უმოკლეს ვადებში. ამასთან, შესაძლებელია, რომ ქართველმა პარლამენტარებმა გადაწყვიტონ იმ შეთანხმებების დენონსაციაც, რომელთა საფუძველზეც რეგიონში შეიყვანეს სამშვიდობო ძალები კონფლიქტის საბოლოო მოწესრიგების მომენტამდე.

საქართველოს პარლამენტი, ალბათ, გადაწყვეტს ასეთი ნაბიჯის გადადგმას. ჯერ ერთი, უკვე არსებობს დადგენილება ქვეყნის ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გატანის შესახებ, რომელმაც, პრინციპში, მისცა კიდეც დასაბამი ამ პროცესს. და მეორეც, ამ ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში ქართველი პარლამენტარები არაერთგზის ეცადნენ ამ საკითხის ინიცირებას. საკმარისია მოვიყვანოთ ფრაგმენტი ვიწრო წრეებში ფართოდ ცნობილი ქართველი პარლამენტარის ზვიად ძიძიგურის ინტერვიუდან. კითხვაზე, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუს მშვიდობისმყოფელთა გაყვანას, ძიძიგურმა ასეთი პასუხი გასცა: „საქართველოს პარლამენტმა რამდენიმე დოკუმენტში უკვე დააფიქსირა თავისი პოზიცია, რომელიც გამოიხატება იმით, რომ რუსეთის ფედერაცია არის არა მშვიდობისმყოფელი, არამედ უშუალოდ კონფლიქტში მონაწილე მხარე. საქართველოს პრეზიდენტს არაერთგზის განუცხადებია, რომ საქართველოს სახელმწიფო მზად უნდა იყოს რუსეთთან ომისთვის და საამისოდ საჭიროა ყველა შესაძლებლობებისა და რესურსის მობილიზაცია“.

ბატონ ძიძიგურის მიერ ზუსტად ერთი წლის წინათ მოხაზულ სქემაში საკმაოდ კარგად თავსდება ქართველ ძალოვანთა პროვოკაციული მოქმედებები, რომლებსაც ისინი ახორციელებენ რუსი მშვიდობისმყოფლებისა და ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ. საკმარისია გავიხსენოთ, რომ აგვისტოში დააკავეს რუს მშვიდობისმყოფელთა მანქანები იმის გამო, რომ როგორც ქართული მხარე აცხადებდა, მათ კონტრაბანდა გადაჰქონდათ. ასეთი განცხადებების შემდეგ უკვე აღარ ჩნდება ეჭვი იმის თაობაზე, თუ ვინ უშენს ცეცხლს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მშვიდობისმყოფელთა საგუშაგოებს. ყველასათვის გასაგებია, ვინც ილესავს კბილებს მშვიდობისმყოფლებზე. გვახსენდება ამ ცოტა ხნის წინანდელი უსუსური მცდელობაც, როცა სურდათ, რომ იარაღით მოვაჭრე პირი გაესაღებინათ ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის ხელმძღვანელი შემადგენლობის წევრად.

ამავე დროს ვითარება ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში კიდევ უფრო დაიძაბა. 20 სექტემბერს ცეცხლი დაუშინეს ცხინვალის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს. წინასწარი მონაცემებით, ისროდნენ სოფელ ნიქოზის მხრიდან. აფეთქებების შედეგად დაშავდა 10 კაცი, მათ შორის 2 წლის გოგონა ვერონიკა ბიტიევა, რომელიც ვლადიკავკაზის საავადმყოფოში მოათავსეს. ოთხშაბათს კი დაუდგენელმა პირებმა ცეცხლი დაუშინეს ცხინვალიდან ჩრდილოეთით 10 კილომეტრზე მდებარე ქართულ სოფელ აჩაბეთს. გავრცელებული ინფორმაციით, მსხვერპლი არ არის.

ჟურნალისტი მივლინებიდან დაბრუნდა

# 7. „ყოველი ჩამოვარდნილი წვეთი გვაშინებს...“

## გაჭირვებულთა შველა უნდა დაჩქარდეს

**ეს სათაური ამოვიკითხე გაზეთ „ხულოს“ 13 მაისის ნომერში და... მეც შემეშინდა! ამ პატარა წერილში იმდენ უბედურებაზეა საუბარი, რატო მთელ ქვეყნიერებას არ ეყოფა! გადაუღებელმა წვიმებმა და წყალდიდობებმა ზოგან საცხოვრებელი სახლები დაანგრია, ზოგან გზები, ხიდები და ბოგირები, წალეკა ნათესები და ბაღ-ბოსტანი. სტიქიის შემოტევა აჭარას სხვა წლებშიც ახსოვს. ახსოვს კი არა, ბევრი ადამიანის სიცოცხლეც შეეწირა. მაგრამ რაც წლეულს, გაზაფხულ-ზაფხულში მოხდა, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, თუმცა მოულოდნელი სულაც არ უნდა ყოფილიყო – ტყეების უთავბოლო გაჩეხვას რაც მოჰყვებოდა, ამას დიდი სჯა-ბაასი არ სჭირდებოდა. სტიქიურმა უბედურებებმა ამიტომაც მიიღო მასშტაბური ხასიათი მთელს საქართველოში. უბედურება ის არის, რომ ბუნებრივი საფარის ხელყოფა დღესაც გრძელდება.**

**ასე გაჩნდა ახალი ტერმინი „ეკომიგრანტები“. დღეს მათი რიცხვი ათეულ ათასებს აღწევს. მარტო ხულოს რაიონში ბუნების ავზნიანობის შედეგად 1784 კომლი დაზარალდა. თითო ოჯახში სამი სულიც რომ ვიანგარიშოთ, უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანების რიცხვი 5352-ს აღწევს! სინამდვილეში, ალბათ, გაცილებით მეტია... ამას მიუმატეთ აუცილებლად გასაყოფი 849 კომლი. მივიღებთ უზარმაზარ ციფრს და პრობლემათა მთელ ჯაჭვს! სად წავიყვანოთ და დავასახლოთ, რა სახსრებით შევუძინოთ საცხოვრებელი სახლები და სავარგულები...**

**წინა წერილში ვწერდი, რომ წლეულს ეკომიგრანტებისათვის სახლ-კარის შესაძენად ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოუყვეს 1,4 მილიონი ლარი. ამ ფულით ნაყიდია სულ 214 ბინა. წარმოიდგინეთ, სატირალი რომ არ იყოს, მართლაც სასაცილოა: მთელი საქართველოს მასშტაბს ვინ ჩივის, მარტო ხულოს რაიონი რომ დაკმაყოფილდეს ამ ტემპით, სულ ცოტა, 12 წელიწადია საჭირო!**

**ასე კი, მართლაც რომ „ვერ გავფრინდებით...“**



გურამ კახაძე.

როცა ხულოში მივდიოდი, იქაურთა აზრის შეტყობაც მაინტერესებდა. გამაცნეს გამგეობის მიგრაციის განყოფილების გამგე **გურამ კახაძე,** რომელიც ახმეტის რაიონიდან რამდენიმე დღის დაბრუნებული გახლდათ.

– სიმართლე გითხრათ, იქაურობაზე ცოტა სხვანაირი წარმოდგენა გვქონდა – რაც არ უნდა იყოს, პანკისისა და ჩეჩნეთის პრობლემამაც გარკვეული როლი შეასრულა. ჩვენც გვეეჭვებოდა, იგუებდნენ თუ არა აჭარლები იქაურ ჰავას, თუმცა, არა გვგონია, იმაზე რთული პირობები დახვედროდათ, ვიდრე აქ ჰქონდათ. ჩავედი და... სამოთხეში მოვხვდი. იქით – ატეხილი მთები, აქეთ – მდინარე ალაზანი, თვალუწვდენელი ვენახი, სახნავი და სათიბი. ერთი სიტყვით, სადარდებელი არაფერია. ისიც სათქმელია, რომ ადგილობრივმა ოსებმა გულთბილად მიიღო ჩვენი ხალხი.

***– რა იყო ახმეტაში თქვენი მივლინების მიზანი, მარტო ახალმოსახლეთა ნახვა და იმათი საცხოვრებელი პირობების გაცნობა?***

– ეგეც და ისიც, რომ ცხრა კომლი წავიყვანეთ. მათ გასაცილებლად ბათუმის სახელმწიფო თეატრთან ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელები მოვიდნენ. ჩემთან ერთად ახმეტაში იყვნენ განსახლებულთა და მიგრირებულთა განყოფილების მთავარი სპეციალისტი რამაზ ჯინჭარაძე, ხულოს, შუახევისა და ქობულეთის რაიონების მიგრაციათა განყოფილებების ხელმძღვანელები. იქ ჩასულებს უფასოდ გადავეცით ორსართულიანი კაპიტალური, კეთილმოწყობილი ბინები და 500-500 ლარი დახმარება. ადგილზე დაგვხვდნენ ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი ეთერ ასტემიროვა და ახმეტის გამგებელი ნუკრი ღუბიანური.

***– თქვენ უშუალოდ ნახეთ ფიჩხოვანი და ქორეთი?***

– რა თქმა უნდა! ფიჩხოვანში ექვსი კომლი ჩავიყვანეთ. მათთვის ბინები უკვე შესყიდული დაგვხვდა. თითოეული მოსახლის განკარგულებაშია 0,5-0,7 ჰექტარი ვენახი, ბაღი და სახნავი. ნორმალური მეურნეობის გასამართავად სავსებით საკმარისია. მოგეხსენებათ, არც ჩვენი ხალხია ზარმაცი, გარჯა უყვარს, ჰოდა, მე მგონი, კახეთსა და კახელებში კარგად ჩაეწერებიან...

***– სხვათა შორის, ახმეტას კარგად ვიცნობ. სამოციან წლებში გაზეთში ვმუშაობდი. ფიჩხოვანშიც ბევრჯერ ვყოფილვარ და ქორეთშიც, ოსური ხაბიზგინებიც მიგემნია და თბილი არაყიც. ერთი ამბავიც უნდა გიამბოთ: აქ, ხულოში შევხვდი უჩხოელ რეზო დეკანაძეს, ბათუმის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს. ამ თხუთმეტი წლის წინათ სიღნაღის რაიონის ახალაშენებულ სოფელ ციხიანყურეში ჩასახლებულა თავისი ოთხსულიანი ოჯახით. იმ სოფელში სულ 65 კომლია, აქედან 53 ხულოდან – მახარაძეები, აბულაძეები, ბოლქვაძეები, თავართქილაძეები, კომახიძეები, გივრაძეები... ვკითხე, იქაურობას როგორ შეეგუე-მეთქი, თუმცა შეკითხვაც აღარ მჭირდებოდა: კახურად ისე „უბერავდა,“ შენი მოწონებული! იმათ რა შეგუება უნდათ, მთავარია, კაცი იყოო. შინამეურნეობას მისდევს ეკონომისტი კაცი; თესავს საზამთროს, სიმინდს, ბოსტნეულს, ჰყავს საქონელი. ერთი სიტყვით, ქვაც საკუთარი აქვს და კაკალიც. ათი კაცი დაუპატიჟებლად რომ მომადგეს, გარეთ არაფერზე გავალო. ახლა უჩხოში მამასთან სტუმრად ჩამოსულა.***



– თავდაპირველად ახმეტაში ჩასახლების მსურველთა შეგროვება გაგვიჭირდა, წალკაში გვირჩევნიაო, გაიძახოდნენ. ახლა, ახმეტას „გემო“ რომ გაუგეს, იქით მიიწევენ. ფიჩხოვანში კიდევ ცამეტი სახლია მოძიებული, მაგრამ თანხები არ არის.

***– ქორეთში რამდენი ოჯახი დასახლდა?***

– ცხრამეტი. მიხეილ პაქსაძეს მშვენიერი ბაღ-ვენახი აქვს. ახალგაზრდა, მშრომელი კაცია. უფასდება კიდეც. ასე, რომ ახმეტაშიც ფეხი მოიკიდეს სურმანიძეებმა, აბაშიძეებმა, საგინაძეებმა, შავაძეებმა...

***– აბაშიძეები, ალბათ, თუშ აბაშიძეებთან ნათესაურ ძაფს გააბამენ. რაც არ უნდა იყოს, ერთი გვარის ხალხია.***

– მეც ასე მგონია. ეგეც რომ არა, ვაჟას თუ დავესესხები, „აქაც ხომ ქართველები ვართ“?

***– ახლა ისიც მითხარით, რაიონის ხელმძღვანელობამ როგორ მიგიღოთ, თქვენები ხომ არ ემდურებიან?***

– რას ბრძანებთ. ემდურებიან არა... რაიონის გამგებელმა ნუკრი ღუბიანურმა დიდებულად მიგვიღო. გვეითხრა, ოთხასი ოჯახიც რომ ჩამოიყვანოთ, დავასახლებთო. კი ჩავიყვანდით, მაგრამ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო ფულზე ჯერ ცოტა ქესატად არის.

***– მუშაობით თუ მუშაობს ვინმე?***

– საცხურელი პედაგოგები გივი და ლეილა შავაძეები სკოლაში პედაგოგობენ. ალბათ სხვებიც თანდათან მოძებნიან თავთავიანთ საქმეს.

***– წალკელებზე რას მეტყვით?***

– ბედს არც ისინი ემდურებიან, ბევრი ოჯახი კარგად მოეწყო. ზოგმა სახლ-კარი თავისი ფულით შეიძინა. ერთი-ორი ჰექტარი სახნავი თითქმის ყველას აქვს. კარტოფილს თესავენ და პირუტყვს ამრავლებენ. მიწას იჯარითაც იღებენ და ასე გააქვთ თავი.

მერე იყო და აგარის საკრებულოს გამგებელს **ასლან მგელაძეს** გავესაუბრე. მისი სოფლიდან ახმეტასა და წალკაში სულ ხუთი ოჯახი ჩასახლებულა. მსურველი ბევრია, რადგანაც მეწყერსაშიშ ზონაში ორმოცი ოჯახი კიდევ ცხოვრობს. ამას ემატება ამაზე ცოტა მეტი გასაყოფი კომლი.

როგორც ეხედავთ, საქმე ძალზე სერიოზულად არის. ბიუჯეტს, უნდა თუ არა, თავის შეწუხება მოუხდება, რათა ბინების შესყიდვა უფრო გააქტიურდეს.

**...ეს ხალხი უკიდურესმა პირობებმა გააქცია მშობლიური ადგილებიდან და არც გამიკვირდება, უფროს თაობას ახალ ადგილზე შეგუება რომ გაუჭირდეს. მაგრამ გავა ათი, თხუთმეტი წელი. წამოვა ახალგაზრდობა, რომელიც კახეთშიც, თრიალეთშიც, ქართლშიც მტკიცედ გაიდგამს ფესვს, იქაც, სადაც იცხოვრებენ, მათი სამშობლო იქნება, სამშობლო, რომელსაც საქართველო ჰქვია.**

**ოღონდ... გაჭირვებულთა შველა როგორმე უნდა დაჩქარდეს.**

**ელგუჯა ლებანიძე,**
**„სრ“ სპეც. კორ.**
**თბილისი-ხულო-თბილისი.**

ეროვნული გამოცდები

# ყოჩაღი კასპელები

## აქაურმა აბიტურიენტებმა სკოლაც ასახელეს, ოჯახიც და რაიონიც

**რა თქმა უნდა, თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურის საშუალო სკოლადამთავრებული ანა მამუკელაშვილი აბსოლუტური ჩემპიონია. მან ერთიან ეროვნულ მისაღებ გამოცდებზე მრავალი ათასი აბიტურიენტიდან ქულათა ყველაზე მეტი რაოდენობა დააგროვა და უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი გახდა.**

ბარაქალა მის ყმაწვილქალობას, ოჯახს და სკოლას!

მაგრამ აბსოლუტურის გარდა, ხომ არიან სხვა „წონით კატეგორიაში“ გამარჯვებულებიც? კასპელი ანა გოჭაშვილი სწორედ რომ ასეთი გამარჯვებულია. ეროვნულ გამოცდებზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში მან ერთადერთმა შეძლო ქულათა მაქსიმუმის – 100 ქულის – მოგროვება და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმაც ფრანგული ენის ფაკულტეტზე სიამოვნებით მიიღო ნიჭიერი და იმედისმომცემი გოგონა.

ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში კასპიდან წასულ სტუდენტებს სათავეში უდგას საერო გიმნაზიის კურსდამთავრებული ვალერიან ბენაშვილი და საერთოდ, იგი, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დაგროვილი ქულების რაოდენობით ქვეყანაში მე-60 ადგილზეა, რაც ერთობ მაღალი მაჩვენებელია.

წლეულს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები გახდნენ კასპის მე-3 საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები, დები ნათია და ნატო ბედოიძეები; პირველი საშუალოსკოლადამთავრებული დაძმა ნათია და გიორგი ხოკროშვილები კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები არიან.

ქვემოგომელი გიორგი ხიზანიშვილი, ქვემოჭალელები ფიქრია გახელაძე, გულისა ჯალალი, ლია ტურტულაძე და დოესელი ნათია ოხანაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისწავლიან, დოესელი ნატო შაქარაშვილი და სასირეთელი გიორგი უსანეთაშვილი – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. ბევრმა მათგანმა სახელმწიფო გრანტი მოიპოვა.

ყველას ვერ ჩამოთვლი...

– წლეულს, – მითხრა კასპის რაიონის გამგებელმა გენო ხაჩიძემ, – ჩვენი რაიონიდან ერთიან ეროვნულ გამოცდებზე 301 აბიტურიენტი გავიდა, აქედან – 149 – ქვეყნის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი გახდა, 34-მა კი სახელმწიფო გრანტი მიიღო.

თემას ოდნავ გადავუხვევ. შეიძლება ბევრს დღევანდელი ხელისუფლება არ მოსწონდეს (მეც თქვენს შორის მიგულეთ), თვალში არ მოუდიოდეს განათლების მინისტრი კახა ლომაია, მაგრამ ამ ზაფხულს ეროვნული გამოცდები ობიექტურად და სამართლიანად რომ ჩატარდა, ამის დაუნახაობა დიდი უმადურობა იქნებოდა. გამოცდებზე ვერ შეაღწია ქრთამმა, სატელეფონო ზარმა, ფაქსმა, კომპიუტერმა და სხვა უახლესმა საკომუნიკაციო მიღწევებმა. ვერ იმუშავა ათეული წლობით უმაღლეს სასწავლებლებში დანერგილმა ჩაწყობის, ნათლიმამობის სამარცხვინო მექანიზმმა, პირში ჩალაგამოვლებული დატოვეს გაწუწკებული, ფულის აღებაში გაწაფული ვაილექტორები, თავად ტალახში ამოსვრილები, ათობით პატიოსან უმაღლესი სკოლის მუშაკსაც ჭუჭყს რომ სცხებენ.

სამართალმა პური ჭამა. იგი ღარიბია, მაგრამ პატიოსანი, მარტო პურის ჭამითაც კმაყოფილია, ბილწთ არ შეეკვრის და ამაშია მისი ძალაც. ასე რომ არა, ეღირსებოდა კი სოციალურად ნაკლებად დაცული ოჯახის შვილებს დავით ამირეზაშვილს და ნინო მანძულაშვილს სტუდენტობა? ისინი მარტო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები კი რა, სახელმწიფო გრანტის მფლობელებიც არიან! რომ არა სამართლიანობა და მიუკერძოებლობა, საეჭვოა, სტუდენტები გამხდარიყვნენ ობლად გაზრდილი თამარ ობგაიძე, გურამ მარღიშვილი, გულნაზი ქენქაძე და სხვები.

კასპის კულტურის სახლის წინ გაიმართა რაიონის გამგეობის შეხვედრა საერთო ეროვნულ გამოცდებში გამარჯვებულებთან – აწ უკვე ქვეყნის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებთან.

შეკრებილთ ეროვნულ გამოცდებზე წარმატებული გამოსვლა მოულოცეს რაიონის გამგებელმა გენო ხაჩიძემ, განათლების განყოფილების უფროსმა რობერტ გახელაძემ, პარლამენტის წევრმა ლევან გზირიშვილმა და სხვებმა. ახალგაზრდები გამგეობის სიგელებით დააჯილდოვეს, გადასცეს სამახსოვრო საჩუქრები.

სამადლობელი სიტყვებიც ითქვა, სიმღერაც ისმოდა, ლექსებსაც ამბობდნენ, მოკლედ, კასპში მზიანი, ხალისიანი და იმედიანი დღე იყო.

– ჩვენ მოვდივართ! – მოგვძახის ახალი თაობა.

– მოდით, ისწავლეთ, მყარად დადექით ფეხზე, რომ მერე ერთად ვაშენოთ მომავლის ქვეყანა – ჩვენი საქართველო!

**გურამ ვაშაკიძე,**
**„სრ“ საკ. კორ.**

P. S. **მენანება დასაკარგავად კახა ლომაიას სხარტულა, როცა იგი ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩემპიონებზე (უბრჭყალებოდ!) კასპელ ანა გოჭაშვილზე და კურდღელაურელ ანა მამუკელაშვილზე ლაპარაკობდა: რა არის საჭირო, ბრწყინვალედ რომ ჩააბარო ეროვნული გამოცდები და უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი გახდე?**

**თურმე: უნდა დაიბადო პროვინციაში, უნდა იყო გოგო და თანაც გერქვას ანა!**

**გ. ვ.**

ინფორმაცია

## კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის საქმიანობას გამოიძიებენ

**საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე დარწმუნებულია, რომ მისი მოთხოვნის შესაბამისად, პროკურატურამ კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიისა და მისი ხელმძღვანელობის საქმიანობის შესწავლა დაიწყო.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ კახა ბენდუქიძემ განუცხადა, ამ საკითხზე მას პროკურატურის წარმომადგენელთან უახლოეს მომავალში არ უსაუბრია, თუმცა დარწმუნებულია, რომ მისი მოთხოვნა შესრულდება და კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის საქმიანობა გამოძიებული იქნება.**

**როგორც ცნობილია, კახა ბენდუქიძემ კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია სახელმწიფოსათვის განსაკუთრებით დიდი ოდენობით ზარალის მიყენებაში დაადანაშაულა. ბენდუქიძის თქმით, სახელმწიფომ დაახლოებით 27 მილიონი დოლარი იზარალა იმის გამო, რომ გარკვეული სიხშირეები „მაგთიკომს“ 250 ათას ლარად გადაეცა და ეს 27 მილიონი ლარის ღირებულებას წარმოადგენდა.**

## დაზარალებულთა ნაწილი ბინებით უკვე დააკმაყოფილეს



**თბილისში, მერვე ლეგიონში საცხოვრებელი კორპუსის (გოგა ონაშვილის №9) ჩამონგრევის შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა და ერთიც მძიმედ დაშავდა.**

**კორპუსის ნგრევა გადახურვის ფილების დაზიანებამ გამოიწვია. სრულად ჩამოინგრა ერთი სადარბაზოს ის ნაწილი, სადაც ერთოთახიანი ბინები იყო განთავსებული.**

**იქ სამაშველო სამუშაოები უკვე დასრულებულია.**

**როგორც „მედიანიუსს“ ისანი-სამგორის რაიონის გამგებელმა გიორგი ქორქაშვილმა განუცხადა, წინასწარი მონაცემებით, ზარალმა რამდენიმე მილიონ ლარს გადააჭარბა.**

**„უსახლკაროდ დარჩა 10 ოჯახი. თბილისის მერიამ ორი ოჯახი ბინებით გუშინვე დააკმაყოფილა. გადავეცით პირველადი მოხმარების საგნებიც. დანარჩენმა რვა ოჯახმა საცხოვრებელი ფართის მოძებნის სურვილი თავად გამოთქვა. თბილისის მერია დაზარალებულებს ბინის ქირას მანამდე გადაუხდის, ვიდრე მათ უკეთეს საცხოვრებელ პირობებს არ შევთავაზებთ,“ – განუცხადა „მედიანიუსს“ გიორგი ქორქაშვილმა.**

**მისი განმარტებით, №9 კორპუსის ჩამონგრეული ნაწილი აღდგენას არ ექვემდებარება, ხოლო დანარჩენ ნაწილს ექსპერტები შეისწავლიან.**

**ინტერპრესნიუსი**

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

# ყველაფერი პირიქით არის!

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში (№ 222) დაიბეჭდა მასალა „როცა გაიძულებენ, აქციაზე მათთან ერთად დადგე!“ მასში საუბარი იყო ჩვენს თანაგრძნობაზე ძალოვანი სტრუქტურების იმ ვეტერანებისადმი, რომლებმაც, ამას წინათ, აქცია გამართეს მთავრობის სახლის წინ და, რომლებიც ითხოვდნენ საქართველოს ახალ კანონპროექტში ცვლილებების შეჩერებას (დატოვებას ძველი კანონის ზოგიერთი მუხლებისა).

საგაზეთო მასალის ბოლოს ავტორი გულისტკივილით გამოთქვამდა, რომ „...არავის არა აქვს მორალური უფლება, ჩვენი საზოგადოების ზოგიერთი ფენა იღებდეს 28 ლარს, ზოგიერთი 150-ს, ზოგიერთი კი... 5000 ლარს!“

რატომღაც ამ ფრაზამ გარკვეული ვნებათაღელვა გამოიწვია, თითქოს, ჩვენ „ვქადაგებდით“ პენსიების 28 ლარამდე „ჩამოყვანას“! არადა, ყველაფერი პირიქით არის თქმული, – უნდა გავითვალისწინოთ ქვეყნის ამჟამინდელი მდგომარეობა, მაგრამ პენსიები უნდა გაიცემოდეს ადამიანის დამსახურების მიხედვით! ძალოვან სტრუქტურებს, რა თქმა უნდა, თავიანთი სამსახურებრივი სირთულის გამო, პენსიებიც გაცილებით მეტი უნდა ჰქონდეთ, მაგრამ ის, რომ 28-ლარიან პენსიას ვაძლევთ ჩვეულებრივი პროფესიის, მაგრამ დამსახურებულ, მუყაით ადამიანებს, ეს ქვეყნის უსუსურობაა, ხოლო ამ უსუსურობის „მისაფუჩეჩებლად“ ათასგვარ ხრიკებს რომ ვეძებთ, არც ეს არის მორალურად გამართლებული!

როდესაც 5000 ლარს ვაძლევთ ძალოვანი სტრუქტურის „მავანს“, მათმა კოლეგებმა რა დააშავეს, ძველ პენსიას რომ ვუტოვებთ? მით უფრო მაშინ, როდესაც არსებული კანონი ათანაბრებს მათ? ხოლო, არსებული კანონის გაუქმება, მეტი არაფერი რომ არ ვთქვათ, ხალხის მოტყუებაა!

**ზურაბ მეგრელიძე**

სკოლა

# ვეღარც 26 სექტემბერს?

**ჯერ კიდევ როდის ბერძენი ფილოსოფოსი სენეკა ძალიან პრაგმატულად აღნიშნავდა: „ვსწავლობთ არა სწავლისათვის, არამედ ცხოვრებისათვის“.**

**შეიძლება სენეკასეული სიბრძნე ყველას სიმართლედ არ მიაჩნდეს. ამაზე შეიძლება დაუსრულებლად ვიდაოთ. ვიღაც სწავლისათვის სწავლობს, ვიღაც კიდევ მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის. ნებისმიერ შემთხვევაში, ყველას თავის გზაზე გაუმარჯოს!**

ჩვენს მთავრობას კარგად ესმის დ. გურამიშვილისეული შეგონება სწავლის თაობაზე. განათლების რეფორმაც ადეკვატურად გაატარა. შეიძლება ითქვას, რომ ამ ცვლილებებმა საზოგადოება ვერ მოხიბლა. ცოტა არ იყოს დაბნეულნი არიან აბიტურიენტები თუ დაწყებითი კლასების მოსწავლენი. პირველნი იმიტომ, რომ ვერ გაუგიათ, გახდნენ სტუდენტები თუ – ვერა. მეორენი იმიტომ, რომ სასწავლო წელი უჩვეულო დროს იწყება. ყველგან 26 სექტემბერს რომ განახლებულიყო სწავლება, მაშინ, ასე თუ ისე, მისაღები იქნებოდა, მაგრამ როდესაც სხვადასხვა რეგიონში განსხვავებული თარიღით იწყება, რჩება შთაბეჭდილება, რომ რეფორმა განათლების სისტემაში დახვეწილი არ არის.

პედაგოგები და მშობლები არც თუ იშვიათად აღნიშნავენ, პირველი სექტემბრის გაუქმებით დღესასწაული დაგვიკარგესო.

სავარაუდოა, რომ მავანს და მავანს პლაჟზე გარუჯვა უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნია, ვიდრე ინტელექტის შეძენა ე. წ. „ბარხატნი სეზონს“ სასწავლო დღეები შეეწირა. ამას შეიძლება პატრიოტული თუ სხვა პოპულისტური ფორუმებისადმი საჭირო დროც დაემატოს. ამასობაში შენი სასწავლო სემესტრიც გავიდა...

ასეა თუ ისე, თბილისის სკოლებში 26 სექტემბერს მაინც განახლდება სწავლა. არადა, საეჭვო იყო 58-ე სკოლაში მთლიანად და 66-ე სკოლის მესამე სართულის დაზიანებულ ნაწილში სწავლის დაწყება. 58-ე სკოლაში რემონტი ესწრება, ხოლო 66-ე სკოლის სახურავის შეკეთება თუ გამოცვლა შესაბამისმა უწყებებმა აიღეს თავის თავზე.

დაზიანებული სკოლებიდან განათლების სამინისტროს მხოლოდ ერთმა სკოლამ ერთი კვირის ვადა გამოსთხოვა კეთილმოწყობისათვის, გაცდენილი საათების ანაზღაურების პირობით.

ამგვარად, ქ. თბილისის მერიის ერთიანი ზედამხედველობის სამსახურისგან შეფუცხუნებულმა მერიის განათლების დეპარტამენტმა სკოლების კეთილმოწყობა მთლიანად დაამთავრა. რაოდენ სისიხარულოა, რომ მოსწავლეებს თავიანთი სკოლის კარები დაკეტილის ნაცვლად ფართოდ გაღებული 26 სექტემბერს მაინც დახვდებათ.

**ზურაბ მოდებაძე**

ფესტივალი

# ანსამბლი „ვარძია“ ინგლისიდან გამარჯვებული დაბრუნდა

**ქართულმა ხალხურმა სიმღერამ მსოფლიო მუსიკალურ არენაზე კიდევ ერთ წარმატებას მიაღწია. დიდი ბრიტანეთის ქალაქ ლანგოლენში გამართულ საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე, რკინიგზის აპარატის კლუბთან არსებულმა ხალხური სიმღერის ანსამბლმა „ვარძიამ“ მეორე ადგილი მოიპოვა.**

**ანსამბლი „ვარძია“ საქართველოს რკინიგზის სამმართველოს საესტრადო ანსამბლ „გორდას“ ბაზაზე შეიქმნა. 1989 წელს ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ბატონმა იური ფერაძემ დავით სოლომონიშვილთან ერთად ჩამოაყალიბა ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლი „ვარძია“, რომელიც აგრძელებს „გორდას“ ტრადიციებს და უკვე ჰყავს თავისი მსმენელი, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე საზღვარგარეთ. „ვარძია“ ფოლკლორისა და ტრადიციული ხელოვნების ფესტივალების საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია.**

**მოკლე ექსკურსი ფესტივალის შესახებ:** მუსიკალური ფესტივალი, უელსში ქ. ლანგოლენში დიდი ბრიტანეთის დედოფალ ელისაბედის ინიციატივით დაარსდა.

მიმდინარე წელს 59-ე საერთაშორისო ფესტივალი ინგლისის პრინც ჩარლზის პატრონაჟით მოეწყო. მუსიკალური ტრადიციების მქონე ქალაქი ლანგოლენი ძალიან ჰგავს საქართველოს, კერძოდ ქალაქ ბორჯომს. ულამაზესი ლანდშაფტისა და ჰავის გარდა, ლანგოლენში ბორჯომის მსგავსად „კუკუშკა“ მატარებელიც დადის. უძველესი XII-XIII საუკუნის ციხე-სიმაგრეებითა და სამეფო დარბაზებით მდიდარი ქალაქი ინგლისის კულტურულ ცენტრს წარმოადგენს. აქ ხშირად ტარდება სხვადასხვა სახის მუსიკალური ფესტივალები.

გასული წლის ნოემბრის თვეში ჩატარდა ღია კონკურსი, რომლის შემდეგაც „ვარძიამ“ შესარჩევი ტური გაიარა და ქალაქ ლანგოლენის საერთაშორისო 59-ე ფესტივალზე დასასწრებად მოწვევა მიიღო. შპს „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორის დავით ონოფრიშვილის ძალისხმევითა და ხელშეწყობით, მიმდინარე წლის 4 ივლისს ანსამბლი „ვარძია“ დიდ ბრიტანეთში გაემგზავრა.

ლონდონში ჩაფრენისთანავე, ჰიტროუნის აეროპორტში მოისმინეს ინგლისელებმა „ვარძიის“ შესრულებით ქართული „სულიკო“.

„საბუთების შემოწმების დროს საბაჟო სამსახურმა სათანადო დოკუმენტაცია მოითხოვა, – იხსენებს ანსამბლის ხელმძღვანელი იური ფერაძე, – ხელთ მხოლოდ პირადი პასპორტები აღმოგვაჩნდა, მოსაწვევები კი ხელჩანთაში გვქონდა შენახული. საბაჟო სამსახურის თანამშრომლებმა, იმის დასამტკიცებლად, რომ ნამდვილად მომღერლები ვიყავით და ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად ვეწვიეთ ინგლისს, სიმღერის შესრულება მოგვთხოვეს. ჩვენც ამ უზარმაზარი აუდიტორიის წინაშე „სულიკო“ ვიმღერეთ, რასაც აეროპორტის მომსახურე პერსონალისა და მგზავრების დიდი მოწონება და ოვაციები მოჰყვა. სამართალდამცავები გაღიმებული სახეებით მოგვიახლოვდნენ და გვითხრეს: – ამის შემდეგ თქვენ ლონდონსა და უელსში არავითარი პრობლემა აღარ შეგექმნებათო და გზა უელსისაკენ დაგვილოცეს.“

6 ივლისს ანსამბლი უკვე ლანგოლენში 5000 მაყურებლის წინაშე წარსდგა. „ნამგლური შრომის სიმღერამ“ და უძველესმა, ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნის სვანურმა საგალობელმა „კვირიამ“ ქართველებს უდიდესი აღიარება და საპრიზო მეორე ადგილი მოუტანა. ინგლისურმა პრესამ, ტელეკომპანიამ BBC და უელსის ადგილობრივმა სატელევიზიო არხმა „ვარძია“ დადებითი რეცენზიებით შეაფასა.

ფესტივალის დასკვნით გალაკონცერტზე დაჯილდოების ცერემონიალი მოეწყო. „ვარძიამ“ „კუჩხი ბედინერი,“ „საეკლესიო მრავალჟამიერი“ და „ჩაკრულო“ შეასრულა. კონცერტის შემდგომ, ლანგოლენის ქუჩებში სეირნობისას, ქართულ ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილ მომღერლებს ქალაქის მცხოვრებლები ავტოგრაფებს სთხოვდნენ და მათთან ერთად სამახსოვრო სურათებს იღებდნენ.

„მუსიკალური ქალაქის დათვალიერების დროს, ერთ-ერთი სარეპეტიციო დარბაზიდან ქართული სიმღერა ისმოდა, აღმოჩნდა, რომ ქართული კულტურისა და სიმღერის თაყვანისმცემელი შვედი მუსიკოსები დიდი სიამოვნებით ასრულებდნენ „მხედრულს“. ქართველები და შვედები ერთმანეთს დიდი ხნის მეგობრებივით გადავეხვიეთ და მათივე თხოვნით ერთად შევასრულეთ უძველესი და ულამაზესი ქართული საგალობელი „შენ ხარ ვენახი“, – იხსენებს იური ფერაძე.

ანსამბლმა „ვარძიამ“ მომავალი წლისათვის დიდ ბრიტანეთში მიწვევა უკვე მიიღო. 2006 წელს ლანგოლენი საიუბილეო მე-60 ფესტივალს უმასპინძლებს, რომელშიც საქართველოს რკინიგზის მომღერლებიც მიიღებენ მონაწილეობას.

„მინდა დიდი მადლობა გადავუხადო საქართველოს რკინიგზის გენერალურ დირექტორს ბატონ დავით ონოფრიშვილს, მთლიანად რკინიგზის აპარატს, ყველა იმ სამსახურის ხელმძღვანელსა და თანამშრომელს, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს ანსამბლის ფესტივალზე გამგზავრებაში. იმედი მაქვს მათი დახმარებით კიდევ ბევრჯერ ვასახელებთ ჩვენს ქვეყანას მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და აღვმართავთ ქართულ დროშას გამარჯვების კვარცხლბეკზე, როგორც ეს გავაკეთეთ უელსში“, – განაცხადა ბოლოს „ვარძიის“ ხელმძღვანელმა იური ფერაძემ.

**თამუნა დეკანოიძე**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 223, შაბათი, 24 სექტემბერი, 2005 წელი.

## ყველაფერი ყველაფერზე

### ახალი რუბენსი... გერმანიაში



**ამას წინათ აღმოჩენილი დიდი ჰოლანდიელი მხატვრის პიტერ პაულ რუბენსის სურათი, რომელზეც ასახულია იესო ქრისტეს გარდამოხსნა ჯვრიდან, იტალიაში იქნება წარმოდგენილი გამოფენაზე. რუბენსის შემოქმედების სპეციალისტმა, პროფესორმა ჰოფსტედმა ნახატს კერძო გერმანულ კრებულში მიაგნო. მისი აზრით, ტილო რუბენსმა შექმნა დაახლოებით 1602 წელს და ერთ-ერთია იმ ციკლიდან, რომელიც ჯვრიდან გარდამოხსნას ეხება. პროფესორი ახლო მომავალში აპირებს გამოკვლევის გამოქვეყნებას იმის დასამტკიცებლად, რომ სურათი დიდი ხელოვანის ფუნჯს ეკუთვნის.**

რუბენსი დიდხანს ცხოვრობდა და შრომობდა ვენეციაში, მანტუაში, ფლორენციაში, რომსა და გენუაში. 1600 წელს მანტუის ჰერცოგის კარის ფერმწერი გახდა. იტალიაში ეკლესიებისთვის საკურთხევლების მოხატვაზე, პორტრეტებზე მუშაობდა, ანტიკური სკულპტურის ნაწარმოებებს, მიქელანჯელოს, ტიციანის, ვერონეზეს ნამუშევრებს შეისწავლიდა. ჰოლანდიაში დაბრუნებულმა საკუთარი სახელოსნო დააარსა.

მხატვრის ტილოები გამსჭვალულია სხვადასხვაგვარი სიუჟეტებით, მოქმედებით, ფიგურებისა და აქსესუარების სიუხვით, პათეტიკური ჟესტებით. თავისი გმირები მან ხაზგასმით ამქვეყნიური, ხორციელი სილამაზით გაფურჩქნული აღბეჭდა.

### პოპ-არტის შედევრს დანით მიუხტნენ



**ავსტრიის ქალაქის ბრეგენცის მუზეუმში დამთვალიერებელმა ქალმა დანით დასერა ცნობილი ამერიკელი მხატვრის როი ლიხტენსტაინის სურათი. პოპ-არტის გამორჩეული წარმომადგენლის ნაწარმოები „გატიტვლებულნი სარკეში“ 6 მილიონ დოლარად იყო დაზღვეული. ვანდალიზმის აქტის შედეგად ის სერიოზულად დაზიანდა.**

პოლიციის განცხადებით, მიუნხენის 35 წლის მცხოვრებმა დანა ჩანთიდან ამოიღო და ტილო ოთხგან გაჭრა. ქალი უმალვე დააკავეს მუზეუმის მნახველებმა და თანამშრომლებმა. ჩხრეკისას დამნაშავეს წითელსაღებავიანი პატარა ბალონი და სახრახნისი აღმოუჩინეს. მას სხვისი საკუთრების დაზიანებაში წაუყენებენ ბრალს და ხუთ წლამდე პატიმრობა ემუქრება.

სურათი იმიტომ დავსერე, რომ დარწმუნებული ვიყავი მის ნაყალბევობაშიო, უთქვამს დაპატიმრებულს. ექსპერტთა შეფასებით, მოხერხდება ტილოს აღდგენა.

როი ლიხტენსტაინი 1997-ში გარდაიცვალა. ენდი უორჰოლთან ერთად იგი პოპ-არტის ფუძემდებლად და კლასიკოსად მიიჩნევა.

### ნაცარქექია საროსკიპოში მოხვდა



**რიგაში აიკრძალა სერგეი პროკოფიევის ბალეტის „ნაცარქექიას“ ჩვენება ახალი დადგმით, სადაც მოქმედება ხდება საროსკიპოში. ლატვიის ოპერისა და ბალეტის ეროვნულმა თეატრმა მოასწრო მხოლოდ ორი წარმოდგენის გაშვება, რის შემდეგაც, კომპოზიტორის ნაწარმოებებზე საავტორო უფლებათა მფლობელთაგან შემოსული საჩივრების გამო, სპექტაკლი დახურეს.**

იმ ახალ დადგმაში ნაცარქექია დამლაგებლად მუშაობს, მისი დები კლიენტებს ემსახურებიან მეძავთა როლში, დედინაცვალი კი ბორდელის მეპატრონეა. ძალიან ხშირადაა გამოყენებული პროკოფიევის მუსიკა ოჯახისგან შესაბამისი თანხმობის მიუცემლად.

გამოჩენილმა მუსიკოსმა „ნაცარქექია“ 1940-იან წლებში დაწერა იმავსახელა ზღაპრის მოტივებზე. ახალი დადგმა კი ისეთ შორსაა ორიგინალისგან, რომ სიუჟეტსა და მუსიკას შორის ვეებერთელა უფსკრული ჩნდება. ახალ სიუჟეტზე თუ აპირებთ სპექტაკლის აგებას, კეთილი ინებეთ და რომელიმე ნიჭიერი კომპოზიტორი მოიწვიეთ ახალივე მუსიკის შესაქმნელადო, — ასეთ კატეგორიულ აზრს ადგანან პროკოფიევის ოჯახის წარმომადგენლები.

რიგის თეატრში კი სხვაგვარად ფიქრობენ — მუსიკა ხომ შეცვლილი არ არის, ამიტომ სპექტაკლის აკრძალვის არავითარი საფუძველი არ არსებობს, ბოლოს და ბოლოს, ყოველ ხელოვანს თავისი ხედვა აქვსო...

## ინტერვიუ

# „საქართველოა ჩემი სახლი“

**„VIP-ზანზატური“ — ასეთი რუბრიკით გამოიტანა თამარ გვერდწითელთან საუბარი რუსეთულმა „Собеседник“-მა (№32).**



— სამუშაო, როგორც ყოველთვის, ძალიან ბევრი მაქვს: კონცერტები, გასტროლები. ახლა სოლო-დისკს ვიწერ. სასაცილო მოსასმენია, როცა ზოგიერთი მომღერალი ამბობს: ალბომებს ვერ გამოვუშვებ, იმიტომ, რომ მეკობრეების მეშინიაო. ცხოვრება წუთიერია, ყველაფერი გაივლის, არაფერი დარჩება — არაფერი, შენი ხმის გარდა, თუ მართლა მომღერალი ხარ...

დნეპროპეტროვსკის თეატრის სპექტაკლში კარმენს ვმღერი, რეპეტიციებს გავდივარ კინოსა და დრამატულ თეატრში.

ცხოვრება დუღს და გეწყინება, ჟურნალისტები რომ მხოლოდ შენი პირადი ამბებით ინტერესდებიან და არა შემოქმედებით (აგვისტოს დასაწყისში მომღერალი ქმარს გასცილდა — **რედ.**).

ჩვენს ოჯახში ერთი შესამჩნევი, სასიხარულო რამ მოხდა: ჩემმა ვაჟმა სანდრომ ბრიტანული კოლეჯი დაამთავრა. საერთოდ, მუდამ ისეთი ცხოვრება მქონდა — მგზავრობები, გადაფრენა-გადმოფრენა, რომ ვერ ვახერხებდი შვილთან საათობით ჯდომას. ამიტომაც ძალიან მიხარია, რომ მისთვის ყველაზე მთავარის გაკეთება შევძელი — შესანიშნავი ევროპული განათლების მიცემა.

მიშელ ლეგრანს ვურეკავ ხოლმე, თუმცა კაი ორი წელია, საერთოდ არ შევხვედრივართ; და მაინც, შემოქმედებაში მკვიდრი უხილავი ძაფები გვაკავშირებს. ჰოდა, კიდევ წავიმუშავებთ ერთად, ერთ ძალიან საინტერესო პროექტში.

უკვე ათი წელია, რაც მოსკოვში ვცხოვრობ. აქ კარგად, მშვიდად ვგრძნობ თავს, მაგრამ საქართველო ჩემ სახლად რჩება. არა მაქვს შეგრძნება, თითქოს იქიდან სამუდამოდ წამოვედი. ყოველთვის ყურადღებით ვადევნებ თვალს, ტელევიზორს მივეწებები ხოლმე, თუკი იქ რამე მნიშვნელოვანი ხდება. როცა თბილისში „ვარდების რევოლუცია“ მიმდინარეობდა, მეც ადგილზე გახლდით, „პირველი არხი“ ფილმს მიღებდა. მაგრად ვღელავდი, ბედნიერი ვარ, რომ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა; თუმცა ისეთი ისტორიული მოვლენაც კი, როგორიც ხელისუფლების შეცვლაა, ჩემთვის არაფერს ცვლის: ერთნი მიდიან, მეორენი მოდიან...

Собеседник

# ფრანგმა პინგვინებმა ამერიკა მოაჯადოეს

**აშშ-ში პოპულარობის მიხედვით მეორე ფრანგულ ლენტად მოულოდნელად იქცა ახალი დოკუმენტური ფილმი პინგვინების შეწყვილების სეზონზე: „პინგვინთა მარშმა“ მარტო პირველ უიქ-ენდში ამერიკული გაქირავებიდან შვიდ მილიონამდე დოლარი მოიტანა და ამრიგად, რომანტიკულ კომედიას „ამელის“ გადაუსწრო, რომელსაც ადრე მეორე ადგილი ეკავა.**



ყველაზე პოპულარულ ფრანგულ სურათად აშშ-ში რჩება „მეხუთე ელემენტი“, რომლის სალაროდან შემოსავალმა 1997 წელს 66 მილიონ დოლარს გადააჭარბა. ფილმი პინგვინების შესახებ (რეჟისორი ლიუკ ჟაკე) პოპულარობით ამ ქვეყანაში მეორე გახდა მაიქლ მურის „ფარენგეიტით 9/11“-ის შემდეგ.

ახალ სურათში აღწერილია საიმპერატორო პინგვინების ყოველწლიური სვლა — ისინი ერთიმეორის მიყოლებით ანტარქტიდაში მიდიან შეწყვილების ჩვეული ადგილისკენ. ფილმის ფრანგულ ვერსიაში, რომელზეც ოთხკაციანი გადამღები ჯგუფი წელიწადზე მეტხანს მუშაობდა, პინგვინების „როლებს“ მსახიობები ახმოვანებდნენ. ამერიკელებმა კი გადაწყვიტეს, რომ ეს ინგლისურენოვანი აუდიტორიისთვის მიუღებელია და დიალოგები საავტორო ტექსტით შეცვალეს, რომელსაც მსახიობი მორგან ფრიმანი კითხულობს.



# ჰიტლერს ენისეიმდე მისვლა შეეძლო?

**60 წლის წინათ, 1945-ის სექტემბერში, დამთავრდა მეორე მსოფლიო ომი. „კომსომოლსკაია პრავდას“ ჟურნალისტს სწორედ ამ ომის უცნობ ფურცლებზე მოუთხრო ვიაჩესლავ მოლოტოვის შვილიშვილმა ვიაჩესლავ ნიკონოვმა.**



**ინფორმაცია განსჯისათვის. სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის, სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ვიაჩესლავ მოლოტოვის ქალიშვილის შვილი და სეხნია ვიაჩესლავ ნიკონოვი მოსკოვში დაიბადა 1956 წელს. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი და 7 მონოგრაფიის ავტორია. იყო სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი. ამჟამად ფონდ „პოლიტიკის“ პრეზიდენტია. ჰყავს მეუღლე და სამი ვაჟი.**

***— ომის დროს ბაბუათქვენი სტალინის პირველი მოადგილე იყო თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტში. თუ გიამბობდათ ხოლმე საბჭოეთის სათავეში გამეფებულ განწყობილებებზე?***

— 30 წლისა ვიყავი, მოლოტოვი რომ გარდაიცვალა. რასაკვირველია, ბევრ რამეზე მოვასწარით ლაპარაკი... არც სტალინი და არც მისი თანამებრძოლნი თურმე წამითაც არ ეჭვობნენ გამარჯვებას. რა თქმა უნდა, ყოველთვის ემზადებოდნენ უარესისთვის — რომ ჰიტლერს შეეძლო ლენინგრადის დაპყრობა, მოსკოვისაც კი; ამ შემთხვევაში იგულისხმებოდა, რომ თავდაცვის ხაზმა შეიძლება გადაინაცვლოს ვოლგამდე, ურალამდე, ენისეიმდეც კი... კაპიტულაცია ამ „უარესის“ გეგმებში მაინც არ შესულა.

***— სტალინი მზად იყო უკანასკნელ ჯარისკაცამდე, უკანასკნელ ვაზნამდე საბრძოლველად?***

— რასაკვირველია... 1940-იან წლებში სსრ კავშირს ჰქონდა მძლავრი სამხედრო-სამრეწველო პოტენციალი, ჰყავდა დიდი მოსახლეობა...

***— შეეძლოთ სტალინსა და ჰიტლერს რომელიმე მომენტში ზავის დადება?***

— ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნებმა — სსრ კავშირმა, აშშ-მა და დიდმა ბრიტანეთმა ვალდებულებები იკისრეს, რომ არც ერთი მათგანი არ დასდებდა სეპარატულ შეთანხმებებს გერმანიასთან. სეპარატული მოლაპარაკებების ერთადერთი ცდა კარგად ცნობილია ფილმით „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“. ამას ვოლფი შეეცადა.

***— გერმანელებს რომ ატომური ბომბის შექმნა მოესწროთ თავიანთ განადგურებამდე, მაშინ რა იქნებოდა?***

— ვერ მოასწრებდნენ. გერმანია არცთუ სწორი მიმართულებით მიდიოდა, უფრო გრძელი გზა ჰქონდა არჩეული.

***— სსრ კავშირი? დასავლეთში აქამდე ჰგონიათ, რომ ჩვენ მაინც და მაინც არ ვჩქარობდით...***

— ამერიკელებმა ატომური ბომბი 1945 წლის 15 ივლისს გამოსცადეს. 24 ივლისს პოტსდამის კონფერენციაზე აშშ-ის პრეზიდენტმა ტრუმენმა იარაღზე გადაუკრა სიტყვა სტალინს. მერე ტრუმენი და ჩერჩილი მემუარებში წერდნენ, თითქოს საბჭოთა ლიდერმა ვერაფერი გაიგო. სინამდვილეში ის იმავე წუთს მივიდა მოლოტოვთან და უთხრა — საჭიროა კურჩატოვს დავაჩქარებინოთ მუშაობაო. ბაბუამ ესეც მიამბო.

***— მეორე მსოფლიო ომის ყველაზე იდუმალი ფურცელი იაპონიასთან სსრ კავშირის ომია. მართალია, რომ სტალინმა ის იაპონიის კაპიტულაციის შემდეგ დაიწყო?***

— თუ ჩავუღრმავდებით — კი. სტალინი იაპონიასთან ომს არ აპირებდა — აშშ-ის პრეზიდენტმა რუზველტმა დაიყოლია იალტაში, 1945 წ. თებერვალში. ამერიკელებს არ უნდოდათ თვეობითა და წლობით სისხლისღვრა ჩინეთში, სადაც კვანტუნის არმია იმყოფებოდა და იმედოვნებდნენ, რომ ამას მათ ნაცვლად რუსები გააკეთებდნენ.

სტალინი ბოლოს და ბოლოს დათანხმდა, ოღონდ იმ პირობით, რომ ამ შემთხვევაში სსრ კავშირმა უნდა აღადგინოს კონტროლი კურილიის ჯაჭვზე, სამხრეთ სახალინზე და მიიღოს საიჯარო უფლებები პორტ-არტურზე, რაც ადრე რუსეთს ჰქონდა.

ამ დროისათვის მსოფლიოში მკვეთრად შეიცვალა სიტუაცია: 6 აგვისტოს ამერიკელებმა ატომური ბომბი ჩამოაგდეს ჰიროსიმაზე, 9 აგვისტოს — ნაგასაკიზე. სტალინს ესმოდა, რომ ახლა იაპონიასთან ომი სწრაფმდინარი იქნება და იმ დროისათვის განსვენებული რუზველტის გარანტიები უკვე არაფერს ნიშნავს... 10 აგვისტოს იაპონიის მთავრობამ კაპიტულირების განზრახვის თაობაზე განაცხადა, თუმცა კაპიტულაციის აქტს ფორმალურად მხოლოდ 2 სექტემბერს მოაწერა ხელი. ასე რომ, საბჭოთა მეთაურმა არსებითად ის, რასაც იალტაში რუზველტი დაპირდა, უნებართვოდ აიღო.

***— დასავლეთში ბევრს წერენ იმაზე, რომ მეორე მსოფლიო ომს შეიძლება მესამე მოჰყოლოდა — თითქოს დიდი ბრიტანეთი და აშშ სსრ კავშირში კომუნისტური რეჟიმის მოსპობის გეგმებს აწყობდნენ. ეს გიამბოთ მოლოტოვმა?***

— ბაბუაჩემი ფიქრობდა, რომ „აცივება“ ჯერ კიდევ რაიხსტაგზე გამარჯვების დროშის აღმართვამდე დაიწყო. 1945 წლის აპრილში გარდაიცვალა რუზველტი, აშშ-ის პრეზიდენტი ტრუმენი გახდა. მოლოტოვი სან-ფრანცისკოში გაემგზავრა გაეროს შესაქმნელ კონფერენციაზე. ტრუმენს ის თეთრ სახლში შეხვდა. ბაბუა როგორც იხსენებდა, მის სიცოცხლეში არც ერთ სახელმწიფოს ლიდერს არც მანამდე და არც მერე არ ულაპარაკია მასთან ასეთი მკვეთრი, რაღაცაში კი უდიერი ტონით — ესა და ეს საბჭოთა კავშირს არ უნდა ჩაედინა ევროპაშიო. რაც შეეხება სსრ კავშირზე თავდასხმის გეგმებს, მათ შორის ბირთვულსაც, აშშ-ში რამდენიმე ჰქონდათ. თუმცა ძნელი სათქმელია, რამდენად ახლოს იყო ეს გეგმები რეალიზაციასთან.

***— რატომ ვერ გამოიყენეს სსრ კავშირის წინააღმდეგ ბირთვული იარაღი?***

— 1949-ში ჩვენ საკუთარი ბირთვული იარაღი გამოგვიჩნდა — ეს გახდა სერიოზული შემაკავებელი ფაქტორი. ოღონდ მანამდეც სარისკო იყო სსრ კავშირზე თავდასხმა. დასავლეთში ფიქრობდნენ, რომ თუ ასეთი დარტყმა განხორციელდება, ევროპის ცენტრში მყოფი საბჭოთა ჯარები დასავლეთისკენ დაიძვრებიან და ამ შემთხვევაში ლა-მანშამდე სწრაფად მისვლის ურიგო შანსები როდი ექნებათ...



## ქრონოგრაფი

### 26 სექტემბერი, 1580 წელი



**პლიმუტის პორტში დედამიწის ირგვლივ საზღვაოსნო ექსპედიციიდან დაბრუნდა ბრიტანელი ზღვაოსანი და მეკობრე ფრენსის დრეიკი.** ოთხანძიანი გალიონით „გოლდენ ჰაიდნით“ იგი თავისი ქვეყნისთვის ახალ მიწებს ეძებდა, რათა ბოლო მოეღო ესპანელთა საზღვაო ძლიერებისთვის. სამხრეთ ამერიკის წყნარი ოკეანის სანაპიროებთან მან უთვალავი სიმდიდრე ჩაიგდო ხელთ და ესპანეთის საზღვაო ვაჭრობას დიდი ზარალი მიაყენა. ინგლისის დედოფალმა ელიზაბეტ I, რომელიც დრეიკს „ჩემს საყვარელ მეკობრეს“ უძახდა, მამაცი ზღვაოსანი უხვად დაასაჩუქრა და რაინდის წოდება მიანიჭა. ხომალდი კი, როგორც ინგლისის საზღვაო დიდება, ტემზის შესართავთან დააყენა. 100 წლის შემდეგ ხომალდის გემბანის იატაკის ფიცრებისგან ტახტრევანი გააკეთეს, რომელიც მეფე კარლ II ოქსფორდის უნივერსიტეტს გადასცა, სადაც იგი დღემდე ინახება.

### 27 სექტემბერი, 1825 წელი



**დარლინგტონიდან სტოკტონამდე გაიარა ჯორჯ სტივენსონის მიერ გაკეთებულმა პირველმა ორთქლმავალმა.** მანამდე ამ ორ ქალაქს ერთმანეთთან კონკა აკავშირებდა. თავდაპირველად ლოკომოტივს „აქტივი“ დაარქვეს, შემდგომ სახელი შეეცვალა და „ლოკომოუშნად“ გადააკეთეს.

### 28 სექტემბერი, (+570 წ.)



**ხსენების დღე ღირსი აბბა იოსებ ალავერდელისა.** ათცამეტ ასირიელ მამათაგანი წმიდა მამა იოსებ ალავერდელი წმიდა იოანე ზედაზნელის მოწაფე იყო. ამ დროს საქართველოს სამოციქულო ეკლესიას რამდენიმე საუკუნის ისტორია ჰქონდა, მაგრამ ურწმუნოება კვლავ მძლავრობდა. აბბა იოსები ღვთის ნებით დაემკვიდრა კახეთს, იმ ადგილას სადაც დღეს ალავერდის ტაძარია. გადმოცემით იგი თან ატარებდა ჯვარს, რომელიც გამოთლილი იყო იმ ჯვრის ხისაგან, რომელზეც გააკრეს უფალი და მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე. იმ დროისათვის ალავერდის მიდამოები უდაბური, კაცთაგან უვალი და უნაყოფო ადგილი იყო. ერთ დღეს წმიდა მამას უფალმა მოუვლინა ერთი დიდებული მონადირე, რომელიც მრავალი ყმის თანხლებით გამოსულიყო სანადიროდ. მან იოსებ ალავერდელს აღუთქვა, რომ ამ ადგილზე ტაძარს ააგებდა და შეასრულა კიდეც აღთქმა: საფუძველი დაუდო ალავერდის მონასტერს. ხალხმა გაიგო წმიდა ბერის ამბავი და აქ სიარული იწყო. წმიდა იოსები დაუცხრომლად ქადაგებდა, იძლეოდა რჩევა-დარიგებებს. ამ მხარეში აღმოიფხვრა ურწმუნოება და განმტკიცდა ღვთისმსახურება. ბევრი ადამიანი ბერთან რჩებოდა სამოღვაწეოდ. თანდათან მეუდაბნოეთა რიცხვი გაიზარდა. დიდი ხნის მოღვაწეობით დამაშვრალმა აღსასრულის მოახლოება იგრძნო და თავისი მოწაფეები შეკრიბა. წინამძღვარი დაუდგინა, დალოცა და მშვიდად მიიცვალა. მოწაფეებმა მისი ცხედარი ალავერდის ტაძარში დაკრძალეს. ღირსი მამის საფლავზე მრავალი სასწაული აღესრულება.

### 29 სექტემბერი, 1968 წელი

**მეტროპოლიტენ-ოპერის სცენაზე შედგა ცნობილი ესპანელი ტენორის პლასიდო დომინგოს დებიუტი.**

### 30 სექტემბერი, 1791 წელი

**ვენაში გაიმართა ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის უკანასკნელი ნაწარმოების „ჯადოსნური ფლეიტის“ პრემიერა.** ოპერის ლიბრეტო ვილანდის ცნობილი ზღაპრის „ლულუს“ სიუჟეტის მიხედვით დაწერა კომპოზიტორის უახლოესმა მეგობარმა და თაყვანისმცემელმა ემანუელ შიკანედერმა.



### 1 ოქტომბერი, 1890 წელი



**1864 წლიდან სახელმწიფოს დაცვის ქვეშ მყოფი სიერა-ნევადას (კალიფორნიის შტატი) მთებში მდებარე ლანდშაფტი ოფიციალურად გამოცხადდა იოსემიტის ეროვნულ პარკად (**Yosemite National Park**).** მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ტყე-პარკი ცნობილია მდინარე იოსემიტ-კრიკის უნიკალური კასკადებითა და გაუვალი ტყეებით. სწორედ აქ ნახავთ ათასწლოვან სექვოიებს, ფიჭვებსა და კედარს.

### 2 ოქტომბერი, 1491 წელი

**დაიბადა დიდი ფრანგი ზღვაოსანი ჟაკ კარტიე, მეტსახელად კორსარი.** იგი საფრანგეთის მეფე ფრანცისკ I ორჯერ გააგზავნა ინდოეთისაკენ უმოკლესი საზღვაო გზის საძებნად. კორსარმა ინდოეთამდე ვერასოდეს მიაღწია, სამაგიეროდ მიადგა უცხო ნაპირს — „გაშლილი ოკეანის დასავლეთით“. ეს იყო კანადის სანაპირო. მდინარე წმიდა ლავრენტის დელტის ყურეში კორსარმა აღმართა ხის ჯვარი წარწერით: „დღეგრძელი იყოს მეფე საფრანგეთისა“. ამით მან მთელი ეს ქვეყანა საფრანგეთის საკუთრებად გამოაცხადა. ამ აღმოჩენას არავითარი რეაქცია არ მოჰყოლია საფრანგეთის მეფის მხრიდან, პირიქით ის აღშფოთებულიც იყო, რადგან ინდოეთიდან და ამ ექსპედიციებიდან უამრავ ოქროსა და ძვირფას თვლებს ელოდა. ცნობილი ზღვაოსანი უკიდურეს სიღარიბეში და ყველასაგან გარიყული გარდაიცვალა.





**ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №26**

# ოსეთის თემა

*„არსებობს ატმოსფერული გავლენა იდეების“. — ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში განმარტავდა გრიგოლ რობაქიძე, ასევე ხმამაღლა გამოთქვამდა თავისი შიშის უმთავრეს საგანს, რომ ტერიტორიებდაკარგული, სოციალურად დაუცველი, ეროვნებაწართმეული, გაყიდული საქართველო ოდესმე გადაიქცეოდა „ვიწრო ეთნოგრაფიად“ და როგორც წარსულის ექსპონატი — „ბრიტანეთის მუზეუმში დაცულ სიძველედ“...*

*რაც შეეხება „ იდეების ავტოსფერულ გავლენას“: არადანიშნულებრივი ზეიმების, აჟიოტაჟის, დემონსტრაციებისა თუ სამხედრო აღლუმების „ჟანრი“ ჩვენდამი განსაკუთრებულად მტრულად განწყობილმა კოკოითმა, შესაძლოა, საქართველოს ახალგაზრდა ხელისუფალთაგან გადაიღო.*

*ნიშანდობლივია, რომ სახალხო მხიარულება დიდხანს არ გაგრძელდა. მალე მას ტყვიების წვიმა და აფეთქებები მოჰყვა.*

*მიზეზთა მიზეზი ყველასთვის ნათელია, მაგრამ ყოველი ანალოგიური ინციდენტის დროს რიტორიკული კითხვები ისმევა და მოწინააღმდეგენი ურთიერთბრალდებების შემდგომ ვიღაც გაუგებარ, დაუდგენელ დამნაშავეებს ასახელებენ. იმ ანონიმური პირების საკითხი კი დროთა განმავლობაში დავიწყებას ეძლევა, რა თქმა უნდა, მომავალ კონფლიქტამდე...*

*ამ პოლიტიკური ფარსის ფონზე დაღლილ, განაწამებ მოსახლეობას საკუთარ ცხოვრებასთან ერთად ენგრევა წლობით ნაშენი სახლები, ელუპება ახლობლები, ეკარგება პირუტყვი, ჩანაგდება ბოსტნები, ყანები...*

*ეს ყოვლად უდანაშაულო ადამიანები არასოდეს ჩანან, როგორც ნამდვილი მსხვერპლნი ტრაგედიისა და ნაცვლად მათი შეურაცხყოფილი სახეებისა და სადღაც დაკარგული უღონო ძახილისა ხელისუფალთა ხმამაღალი ულტიმატუმები ისმის...*

## „ნამდვილი აჟიოტაჟი იყო გაჩაღებული მამულების გაყიდვისა უცხოელებზე“...

1922 წელს საქართველოს ხელისუფლებამ მორიგი საჩუქარი უბოძა რუსეთს — ქართული ტერიტორიის ნაწილი.

ასე დაიწყო **„ოსეთის თემა“** და დღეს იქ რუსი სამხედროების პატრონაჟით აღლუმებს აწყობენ.

ვინ და რატომ გააჩუქა საქართველოს ისტორიული მიწა?

„საქართველოს ტერიტორიას ანიავებდნენ პოლიტიკური პარტიები“ — იგონებდა ქართული ემიგრაციის ყველაზე რადიკალური წარმომადგენელი **რეზო გაბაშვილი** — სწორედ ეს საკითხი გახდა ყველაზე მძაფრი საგანი ჩვენი დავისა ყველა ჯურის ქართველ პოლიტიკოსებთან და რუსეთის მთავრობასთან. **ნამდვილი აჟიოტაჟი იყო გაჩაღებული — მამულის გაყიდვისა უცხოელებზე. რუსეთს შესანიშნავად ესმოდა, რომ მიწის და ტერიტორიის გამოცლა ქართველებისთვის ნიშნავდა ისტორიულ-პოლიტიკური ნიადაგის გამოცლას.**

რეზო გაბაშვილი ამტკიცებდა, რომ სწორედ სოციალისტებმა უბოძეს სომხებს, თათრებს, ჩრდილო კავკასიელებს მთელი პროვინციები. **„რეალური მოსახლეობის პრინციპის“** ძალით რუსეთის მთავრობამ ოსეთის მოსახლეობის მოწყობაც გადაწყვიტა საქართველოს ხარჯზე. ეს იყო გახმაურებული „ხიზნების საქმე“.

1917 წელს ვიცე-გუბერნატორ **სტერბლიცკის** ქართველი ინტელიგენციის, კულტურის სფეროში მოღვაწეთა წარმომადგენლების კრება მოუწვევია. (ანალოგიურ **„კულტურულ“** საზოგადოებას, როგორც შირმას, ყოველთვის თავს უყრიან ხელისუფალნი **საკუთარი გეგმების „კულტურად“ და „ინტელიგენტურად“ გადასაწყვეტად და თავიანთი აზრების გასახმოვანებლად.** „წითელი ინტელიგენცია“ უცხო სტუმართა დახვედრა-გაცილებაში ყოველთვის აქტიურად მონაწილეობს).

ვიცე-გუბერნატორი სტერბლიცკი კმაყოფილი დარჩენილა იქ არსებული ლიბერალური განწყობილებით და როცა თავის ჩანთაში მოხსენების ფურცლებს ალაგებდა, ხაზგასმით და მშვიდად უთქვამს: Я так долажу его сиятельству Графу Воротцову – Дашкову, вто вся Грузинская демократия поддерживает его проект и только куча националистов против.

## საზღვარი – კავკასიონის დიდი ქედი

1991 წლის 10 ოქტომბერს სამაჩაბლოში, ე. წ. სამხრეთ ოსეთში, ჩატარდა ფიქტიური რეფერენდუმი რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში სამხრეთ ოსეთის შეყვანის შესახებ.

საინტერესო, უფრო სწორად, უცნაური ის გახლდათ, რომ არჩევნები მიმდინარეობდა სხვა სახელმწიფოს — რუსეთის ტერიტორიაზე.

ამ ფაქტს, ქალაქ გროზნოდან გამოეხმაურა დევნილობაში მყოფი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო. გამოქვეყნდა დადგენილება, რომ რეფერენდუმის ჩატარება, მისი შედეგები და საერთოდ „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ არსებობა, ერთის მხრივ, არის სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სამართლის ნორმების სრული იგნორირების ქრესტომატიული მაგალითი, ხოლო მეორე მხრივ, ქვეყნის (საქართველოს რესპუბლიკა) ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის მცდელობა მეორე სახელმწიფოს (რუსეთის ფედერაცია) მიერ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები ეროვნული უმცირესობის (ოსები) ნაწილის პროვოცირების გზით.

იხ. მე-6 გვ.





„კვირაძალის საკითხავი" გამოჯანმრთელებას ულოცავს ჩვენს კოლეგას ირაკლი კაკაბაძეს და გთავაზობთ ფრაგმენტს მისი ღირსეული მამის, მწერლის და ფილოსოფოსის ზურაბ კაკაბაძის ფილოსოფიური საუბრებიდან.



# ზურაბ კაკაბაძე ადამიანური ღირებულებების შესახებ

**გარემომცველი პირობები ადამიანს, როგორც ადამიანს, თავიანთი მნიშვნელობების მეოხებით განსაზღვრავენ; ხოლო ეს მნიშვნელობები მას იმდენად გააჩნია, რამდენად ადამიანი გარკვეული მისწრაფებებით და მიზნებითაა ამოძრავებული.** ასე მაგალითად, ჩემსკენ მქროლავ ავტომანქანას სიცოცხლისთვის სახიფათო ვითარების მნიშვნელობა მხოლოდ იმდენად აქვს, იგი მხოლოდ იმდენად ზემოქმედებს ჩემზე და მაიძულებს განზე გავდგე, რამდენადაც მე სიცოცხლის განგრძობის მიზნით ვარ განმსჭვალული და ამოძრავებული. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ **ადამიანის საქციელი მისი მამოძრავებელი მიზნებითა და, მეორე მხრივ, მათი მოპასუხე გარემომცველი პირობებით განისაზღვრება.**



ადამიანის მამოძრავებელ მიზანთა საფუძვლად მის მიერ ღირებულებათა გრძნობა ძევს — მე იმდენად ვარ სიცოცხლის განგრძობის მიზნით ამოძრავებული, რამდენადაც სიცოცხლეს დადებით ღირებულებად ვგრძნობ.

ადამიანს ღირებულების სახით მხედველობაში აქვს, პირველ ყოვლისა, არსებობა, ყოფნა, სახელდობრ, მის მიერ უკვე მიღწეულ ფაქტიურ არსებობასთან შედარებით უფრო სრული და სრულყოფილი სახით ყოფნა; **ადამიანს, პირველ ყოვლისა, არსებობა, ყოფნა და, სახელდობრ, შეძლებისდაგვარად უფრო სრული და სრულყოფილი სახით არსებობა, ყოფნა „უღირს“ და სურს. ამიტომაც მის მიერ ღირებულებათა იერარქიის გრძნობასა და აღიარების არსებობის, ყოფნის სისტემის გაგება უდევს საფუძვლად** — ის, თუ რა ფასს ადებს და რა რამდენად უღირს, იმისგანაა დამოკიდებული, თუ როგორ ესმის მას და რაში გამოიხატება მისთვის ყოფნა არყოფნისგან, ხოლო უფრო სრული და სრულყოფილი სახით ყოფნა ნაკლებად სრული და სრულყოფილი სახით ყოფნისგან განსხვავებით... ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის საქციელი, მისი ცხოვრების მიმართულება და გეზი საბოლოო ანგარიშით მის მიერ არსებობის, ყოფნის სისტემის გაგებით განისაზღვრება.

ამაში, სხვათა შორის, იოლად დავრწმუნდებით, როცა, ერთი მხრივ, ყოფნის სისტემის თაობაზე ეპოქალურ შეხედულებებსა და, მეორე მხრივ, ცხოვრების ასევე ეპოქალურ მიმართულებებს გავიხსენებთ და მათ შორის სრულიად არაორაზროვან პარალელიზმს აღმოვაჩენთ.

ყოფნის სისტემის თაობაზე ეპოქალური შეხედულებები, რეფლექსირებული სახით, ფილოსოფიის ისტორიაშია მოცემული... ხოლო, როგორც გვახსოვს, პლატონური გრადიციის მიხედვით, ევროპის ფილოსოფიურ აზროვნებაში, ახალ დრომდე, **ყოფნის შემდეგი გაგება ბატონობდა: ყოფნა, უპირატესი აზრით, გარკვეულ რაიმედ ყოფნას ანუ რაობას, გარკვეულობას,** გარკვეული სახის ქონებას მოასწავებს. ხოლო გაურკვევლობა, გარკვეული სახის ქონება გონების მიერ გარკვევადობას, გარკვევით მოაზრებულობას და, ამგვარად, გონებისადმი დაქვემდებარებულობას უდრის...

ამის მიხედვით იზომება ყოველივე არსებულის არსებობის, ყოფნის სისრულე, სრულყოფილება — რაც უფრო გარკვეული სახის მქონეა, რაც უფრო ნათლად და გარკვევით მოიაზრება რაიმე, მით უფრო მეტად არის და არსებობს იგი, მით უფრო სრული და სრულყოფილია მისი ყოფნა და არსებობა...

ჩვენს ღირებულებით ორიენტაციებსა და, აქედან, ჩვენი ცხოვრების გეზსა და მიმართულებას საფუძვლად ჩვენს მიერ ყოფნის სისტემის გაგება უდევს, **როგორიცაა ჩვენს მიერ ყოფნის სისტემის გაგება, ისეთია ღირებულებათა ჩვენი გრძნობა და, აქედან, ჩვენი ცხოვრების გეზი და მიმართულება** — რადგანაც დადებითი ღირებულების სახით ჩვენ, საბოლოო ანგარიშით, მხედველობაში გვაქვს ყოფნა... მხედველობაში რომ გვაქვს ყოფნის გარკვეული სისტემა და, აქედან, ყოფნის რაღაც სახე, **როგორც სრული და სრულყოფილი,** ჩვენ არა ვჯერდებით იმას, როგორიც ვართ ფაქტიურად, არ ვჯერდებით ამ მხრივ ჩვენს მიერ ფაქტიურად მიღწეულ დონეს და უფრო სრულსა და სრულყოფილ ყოფნას მივესწრაფით. ამდენად შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის სპეციფიკური დეტერმინაცია მის მიერ ყოფნის სისტემის გაგების მხრივ განსაზღვრულობაში გამოიხატება. ამ მიმართებით მართალია ჰაიდეგერი, როცა „ყოფნის გაგებას“ ადამიანის ფუნდამენტურ დახასიათებად მიიჩნევს.

**ჩვენს დროში, როცა პიროვნებათა ფაქტიურმა ნიველირებამ თავის უკიდურეს საზღვარს მიაღწია, დასავლეთის მოაზროვნეებისთვის სულ უფრო და უფრო ნათელი შეიქნა, რომ უსახურ მასაში გათქვეფა ადამიანის „გაუცხოებას“ მოასწავებს და რომ, მაშასადამე, მისი ადამიანური ბუნება სწორედ საკუთარი ინდივიდური სახის ჩამოყალიბებასა და ქონებას მოითხოვს.**

**ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძება, დღევანდელ მსოფლიოში რომ შეიმჩნევა, ეროვნებათა შერწყმის პროცესის არაბუნებრივობას, ადამიანის ბუნებისადმი მის შეუსაბამობას მოწმობს...**

თუ კაცობრიობას მომავალი აქვს, ეს იმ პირობით, რომ მომავალში უარს იტყვის შერწყმისა და ნიველირების იდეაზე და ყოფნის იმ ახალი გაგებით განსაზღვრავს თავის ცხოვრების გეზს, რომლის თანახმადაც მისი ჭეშმარიტი და სრულყოფილი სახით ყოფნა, მისი **„ნამდვილი სინამდვილე“ განურჩეველ ერთსახოვნებაში კი არ გამოიხატება, — არამედ — განსხვავებულ და თავისებურ ეროვნებათა ერთიანობაში.**

მოამზადა
**შორენა ბოლქვაძემ**

## ვინ არის ეს ქალი...

# ისტორიული და ლიტერატურული გზირი

**ფრანც კაფკა მეგობარს გამოუტყდა: მსგავსი არაფერი მინახავსო...**

***ქალები გამოჩენილ მწერალთა ცხოვრებაში ლიტერატურის ისტორიკოსთა განსაკუთრებული კვლევის საგანია. იმ მანდილოსანთა აურა, ცხოვრების სტილი და ბედისწერა მწერალთა ბედსა თუ შემოქმედებაზე პირდაპირ თუ არაპირდაპირ მონაწილეობს...***

**ფრანც კაფკამ** იმ რამდენიმე ქალთაგან, რომელთანაც რომანული ეპიზოდები აკავშირებდა, მხოლოდ ერთს მიუძღვნა საკუთარი ნაწარმოები, სათაურით **„წერილები მილენას...“** კაფკას იქამდე და მას მერეც სხვა ქალებიც ჰყავდა, მაგრამ შემოქმედებით მხოლოდ და მხოლოდ მილენა უკვდავყო. ლამაზი ეპითეტების უსასრულო არსენალიდან კი არც ერთი სიტყვა არ აირჩია და საყვარელ მანდილოსანს ცოტა არ იყოს უცნაურად, **„ფეხადგმული ხანძარი“** უწოდა.

ცნობილია ფრანც კაფკას რთული, გარემოსთან ვერშემგუებადი ბუნება, უმძიმესი ხასიათი, **მშობლებისა და ნათესავებისადმი სიძულვილი, საყვარლებთან ურთიერთობის სკანდალური დასასრულები...** მას თითქოს აღარაფერი აოცებდა, როცა მილენას შესახებ მეგობარს გამოუტყდა: **მსგავსი არაფერი მინახავსო...**

და მაინც, როგორი იყო ამ ლეგენდარული მწერლის მუზა?

ბიოგრაფთა გადმოცემით, ჩეხი ქალი, პოლიტიკური ჟურნალისტი **მილენა იესენსკა** მართლაც უჩვეულო ქალი იყო... ძალიან რისკიანი, ამავე დროს გონიერი, საღად მოაზროვნე, მამაცი...

ის, როგორც პოლიტიკური ჟურნალისტი, ძალიან პოპულარული გახდა, როცა 1937 წელს ჟურნალ „PRIBOM-NOST“-ის ზაფხულის ნომრებში გამოაქვეყნა სტატიები გერმანელ ემიგრანტთა შესახებ. იმ დროს პრაღას მრავალი უსახლკარო და უსახსრო გერმანელი შეეხიზნა.

**„ისინი უცხონი არიან. უცხო ენაზე ლაპარაკობენ,** — წერდა მილენა — **მაგრამ ჩვენ საერთოც გვაქვს — სვასტიკის ხსენება ერთნაირად გვზარავს და სულს გვიხუთავს“.**

1939 წელს გერმანელები ჩეხეთში შემოიჭრნენ და ფაშიზმისადმი დამოკიდებულება მილენა იესენსკამ უფრო მძაფრად გამოხატა. ჟურნალის მთავარი რედაქტორის დაპატიმრების შემდეგ ის ხელმძღვანელობდა რედაქციას. შემდეგ იძულებული გახდა „იატაკქვეშეთში“ გადასულიყო და უკვე არალეგალური გაზეთი გამოეცა.

უკიდურეს რისკზე მიდიოდა: ბეჭდავდა მამხილებელ სტატიებს, გამოკვეთილი, პრობლემატური სათაურებით, ფაშისტებისგან მალავდა დევნილებს, ახლო ურთიერთობა ჰქონდა წინააღმდეგობის მებრძოლებთან... მას უსაზღვროდ უყვარდა ჩეხეთი და მტკივნეულად განიცდიდა სამშობლოს ოკუპაციას. ყველა ამ ღირსებასთან ერთად ის უბრალოდ ლამაზი ქალიც იყო და მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლებიც ჰყავდა. მილენა თვლიდა, რომ ქალის ღირსებაზე, მის მიერ არჩეული მამაკაცი მეტყველებს...

იხ. მე-6 გვ.

# ოსეთის თემა





**(მეხუთე გვერდიდან)**

როგორც ცნობილია, საერთაშორისო პაქტებით გარანტირებულია ეროვნულ უმცირესობათა უფლებები კულტურულ ავტონომიაზე (ოსების ეს უფლება განხორციელებულია საქართველოს რესპუბლიკაში) და არავითარ შემთხვევაში – უფლება მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიის მიტაცებისა საკუთარი სუვერენული სახელმწიფოს შექმნით.

**ზემოთქმულიდან საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭომ დაადგინა: ბათილად ჩაითვალოს ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში 1991 წლის 19 დეკემბერს „ჩატარებული" რეფერენდუმის შედეგები; კიდევ ერთხელ ეცნობოს რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობას და გაეროს, რომ საქართველოს რესპუბლიკაში არ არსებობს არავითარი სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა, არამედ არსებობს შიდა ქართლი, დასაბამიდან ქართული ისტორიული რეგიონი.**

**შიდა ქართლის რეგიონში საქართველოსა და რუსეთის ბუნებრივ და ისტორიულ საზღვარს წარმოადგენს კავკასიონის დიდი ქედი.**

### ცრუობდა თუ არა საქართველოს პირველი პრეზიდენტი

1991 წლის სექტემბერში გაზეთში „განათლებაში" მაშინდელმა ერთ-ერთმა ხელისუფალმა **თენგიზ სიგუამ** დაბნეული ხალხის ადაპტირებული სიტყვებით, მარტივად განათლება გადაწყვიტა და ერთგვარი წინასწარმეტყველის მისიაც იკისრა;

**„ცრუობს პრეზიდენტი, როდესაც აცხადებს, რომ თუ ის გადადგება, დაიკარგება აფხაზეთი და სამაჩაბლო... ცრუობს პრეზიდენტი, როცა ამბობს, რომ ეკონომიკა საქართველოში კატასტროფის წინაშე დადგება..."**

თავად საქართველოს პირველი პრეზიდენტი აფხაზეთში თუ ოსეთში კონფლიქტის მიზეზებს ერთმნიშვნელოვნად შევარდნაძის მთავრობის კრიზისით ხსნიდა. რაც შეეხება, სამაჩაბლოში დისლოცირებული „სამშვიდობო ძალების" მოქმედებას, ზვიად გამსახურდია ასე განმარტავდა: „სამაჩაბლოში არავითარი „სამშვიდობო ძალები" არ არიან დისლოცირებულნი. ეს არის ჩვეულებრივი საოკუპაციო ჯარი, რომელიც ეხმარება ოს ექსტრემისტებს, რათა ეს მხარე საბოლოოდ ჩამოაშორონ საქართველოს და რუსეთის იურისდიქციას დაუქვემდებარონ, რასაც მიაღწიეს კიდეც შევარდნაძის მოღალატური პოლიტიკის წყალობით, რომელმაც დაგომისის გარიგებით რუსეთს დაუთმო საქართველოს ეს ძირძველი კუთხე. ეს იყო აგრეთვე დიდი გამარჯვება მოსკოვის ოსური „ლობისა". ვინაიდან ეს „ლობი" დიდად დაეხმარა მას მოსკოვის იმპერიულ ძალებთან ერთად საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობაში..."

### კიდევ ერთხელ მარგოს და ჯაყოს შესახებ

დღეს „სამშვიდო ძალების" ცვლილებებზეა საუბარი. მოუტანს კი „სამშვიდობო მისიები" უკვე ძალიან დაქანცულ და ძალებგამოცლილ შიდა ქართლის რეგიონს ნამდვილ მშვიდობას? რა ალტერნატივების წინაშე დადგება ერთნაირად დაზარალებული ოსი და ქართველი ხალხი?

**აკაკი ბაქრაძე** აცხადებდა, რომ არ არსებობს ცნება „სამხრეთ ოსეთი", არც გეოგრაფიული და არც პოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით. ოსების ისტორიული სამშობლო ჩრდილოეთ კავკასიაში არსებობდა. ჭეშმარიტება იმაშია, რომ კავკასიის ქედის სამხრეთით მცხოვრები ოსები ჩრდილო კავკასიიდან არიან გადმოსახლებულნი, როგორც ხიზნები, რომელთაც ჩვენთან თავშესაფარი ნახეს.

ამ ფაქტზე რატომღაც სდუმდა ქართული ისტორიოგრაფიაც. დუმდა ქართული ინტელიგენციაც, რომელიც თეიმურაზ ხევისთავის ანალოგიით „უხერხემლო ინტელიგენციის" სიმბოლოდ იქცა...

**დღეს აფხაზეთივით ხელიდან გვეცლება ჩვენთვის ესოდენ ძვირფასი ქართული ტერიტორია, ლარგვისის და იკორთის ფასდაუდებელი მონასტრებით, ისტორიული ძეგლებით...**

იქნებ კიდევ ერთხელ უნდა დავფიქრდეთ, არის თუ არა ჩვენთვის ძალიან პირადული თემა: „სამშობლოს ბედი" თუ სოციალურ-ყოფითი პრობლემებით შეწუხებული მოსახლეობა, თანდათან ვეგუებით გრიგოლ რობაქიძის სევდიან წინასწარმეტყველებას: „ეძებეთ მსოფლიო რუკაზე: სად არის საქართველო... ზოგისთვის ის ვიწრო ეთნოგრაფიაა, ზოგისთვის კი ბრიტანეთის მუზეუმში დაცული სიძველე..."

იქნებ მართლაც მოახლოვდა ეს გამანადგურებელი დრო? ხომ გადაშენდნენ ოდესღაც უდიდესი და უძველესი ცივილიზაციებიც? ხომ აღიგავნენ ძველი ერები პირისაგან მიწისა?

დღეს მესოპოტამიაში აღმოჩენილი ქოთნის ნატეხებით მსჯელობენ შუმერთა ოდინდელ ცივილიზაციაზე... სად დაიკარგნენ ეტრუსკები? სად არის ძლევამოსილი ურარტუ?

**„ის ხალხები, რომლებიც სხვადასხვა გარემოებათა წყალობით ჰკარგავენ თავიანთ დამახასიათებელ თვისებებს: ენას, სარწმუნოებას, ადათჩვეულებებს და სხვ. ადვილად გათქვეფილან დამპყრობელ ხალხში და მათი კვალიც, ვითარცა დამოუკიდებელი ხალხისა, გამქრალა..."**

(ალექსანდრე მანველაშვილი, 1955 წ. პარიზი).

როგორც ჩანს, ბრძოლა გარდაუვალია. არ ვიცით, ამ ბრძოლას **„მშვიდობიანი"** ერქმევა თუ **„სამამულო"**. ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნება საქართველოს მომავალის გადარჩენას ნიშნავს.

ის ადამიანები, რომლებიც ამ ბრძოლის აუცილებლობას სიცოცხლის უკანასკნელ წვეთებამდე გვახსენებდნენ, აღარ არიან.

ავტორიტეტების დრო, სამწუხაროდ, გავიდა, მაგრამ ჩვენს თაობას ხომ ახსოვს მათი სიტყვები, ლიტერატურულ-პოლიტიკური ანალოგიები, რომ არასრულფასოვანი, უნიათო, უღონო ხელისუფლების, სხვანაირად რომ ვთქვათ, თეიმურაზ ხევისთავის ხელში, იგივე მშვენიერი მარგოა, რომელიც საქართველოს განასახიერებს, **რომელიც მოძალადე მტრის, ჯაყოს მსხვერპლად ქცეულა საკუთარივე ნებით.**

დღეს პერსონაჟების გარეგნული იერი სრულიად სხვაგვარია. თეიმურაზ ხევისთავის ტიპაჟს ენერგიული, გარეგნული რადიკალიზმით და ხმამაღალი ლოზუნგებით მოლაპარაკე თანამედროვე გმირი – ჩაენაცვლა.

ვნახოთ, ლიტერატურული პერსონაჟების სახეცვლილებით შეიცვლება თუ არა ოსეთის თემა, ანუ ჩვენი ხვალინდელი დღე.

**ნინო ხოფერია**

**მეოცესაუკუნელები**

*...წინა კაცი უკანას ხიდიაო – ეს ანდაზა დღეს ალბათ უფრო ხშირად უნდა გავიხსენოთ – ციდან არავინ ჩამოვარდნილა, – ჯერჯერობით მოქალაქეთა უმრავლესობა მეოცესაუკუნელია, მეოცეში კი არავინ ყოფილა გულხელდაკრეფილი – ბევრი რამ სამომავლოდ კეთდებოდა!*

*...დრო იცვლება, მაგრამ წარსულშიც უნდა ჩავიხედოთ ხოლმე, როგორც სარკეში!.. ჩემთვის ასეთი წუთები წმინდათაწმინდაა...*

*მე ამ სარკეში ახლა ვხედავ ასი წლის მამას! – აი კაცი, თქვა ერთხელ მან, როცა ქართული ტექნიკური ჟურნალის ახალი ნომერი აიღო ხელთ, რომელზეც გიორგი ნიკოლაძის პორტრეტი იყო – აი კაცი... და ის დრო გაიხსენა, საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის სტუდენტები მოჯადოებულები რომ მისჩერებოდნენ წარმოსადეგ, შნოიან ვაჟკაცს, რომელიც საოცრად ნათლად მეტყველებდა და თან მაგალითს წერდა დაფაზე. – აბა, ვინ ამოხსნის – იკითხა მან და აუდიტორიას შეავლო თვალი – ერთ-ერთი ჭაბუკი გაიძახა; ვერა, ვერ ამოხსნა იმ ჭაბუკმა ის მაგალითი. ვერც მეორე მოერია. მე უკვე ვიცოდი პასუხი, – იხსენებს მამა და თამამად გავედი – ვწერ და ვწერ, ადგილი აღარც დარჩა დაფაზე, – გეყოფა, გეყოფა ჭაბუკო, – ღიმილით უთქვამს ნიკოლაძეს და ასე ღიმილიანი დაამახსოვრდა ეს კარგი კაცი!..*

# ის იყო თავისი საქმის პოეტი!..

სევერიან ღვინეფაძემ 1931 წელს დაამთავრა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი, მაგრამ შრომითი საქმიანობა დაიწყო გაცილებით ადრე – 1925 წელს ზაჰესი -თბილისის 35 კვ. ძაბვის ელექტრო გადამცემი ხაზის მშენებლობით; 30-იან წლებში აშენებდა რიონჰესი-ტყიბულისა და ტყვარჩელის თბოსადგურის მშენებლობისათვის საჭირო 35 კვ. გადამცემ ხაზებს (მშენებლობებზე ძირითადად ხარურმის გამოყენებით).

1942-1943 წლებში მივლინებული იყო ჩრდილოეთ კავკასიაში, ბაქსანენერგოკომბინატის ელექტრული ქსელების აღდგენის სამუშაოების საწარმოებლად.

აშენებული აქვს ასეულობით კილომეტრი 35, 110, 220, 330, 500 კვ. ძაბვის ელექტრო გადამცემი ხაზები დასავლეთ საქართველოში (მათ შორის მთიან და მაღალმთიან რაიონებში), სომხეთში, აზერბაიჯანში, კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებში, როსტოვისა და ვოლგოგრადის ოლქებში, რომელთაგან განსაკუთრებული სირთულითა და იმავე დროს განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩევა სასისტემო, სისტემათაშორისო და სახელმწიფოთაშორისო გადამცემი ხაზები, უკვე მძლავრი მიწისმთხრელი მექანიზმების და შვეულმფრენების გამოყენებით სატვირთო და სამონტაჟო სამუშაოებზე: 500 კვ. „ქართული-2" (ზესტაფონი-გომის უბანი); იმერეთი (ენგურჰესი-ზესტაფონი); „კავკასიონი" (ცალკეული ანძების მოწყობა ძნელად მისადგომ პიკეტებზე მისი კონსტრუქციის გადასატანი საბაგირო გზის გამოყენებით);

220 კვ. ეგხ-ბი „სალხინო" (ბზიფი-ფსოუ-დაგომისი და მისი განსაკუთრებულად რთული უბანი გაგრის ქედის სამხრეთ ფერდობზე, „აჭარა" (ბათუმი-თურქეთის საზღვარი); „ფერო-3, ფერო-4", – (ზესტაფონში, ფეროშენადნობთა ქარხნის საკვებად; „პალიასტომი-1" (მენჯი-ბათუმი); „პალიასტომი-2" (I ვარდნილჰესი-ბათუმი);

110 კვ. ეგხ-ბი ტყვარჩელი-სამტრედიის ტრანზიტზე; სამტრედია-მახარაძე-ბათუმი; სოხუმი-ახალი ათონი-გუდაუთა-ბზიფი-ფსოუ; „კაცხი" (ძევრულაჰესი-ჭიათურა-3); ჭიათურის სამრეწველო კვანძის მკვებავი ყველა 110 კვ. ხაზი ურთულეს რელიეფურ და გეოლოგიურ პირობებში; ბზიფ-რიწა და სხვა.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, მისი, როგორც ტრესტ „კავკასელექტროქსელმშენის" № 1 მექანიზებული კოლონის მთავარი ინჟინრის, წვლილი დიდი ზესტაფონის 500 კვ, ამიერკავკასიაში უმძლავრესი და სოხუმის, ბათუმის, დაგომისის (სოჭის რ-ნი) 220 კვ. ქვესადგურების მშენებლობის ყველა ეტაპზე. დარგის სპეციალისტთა აღიარებული შეფასება მოიპოვა მის მიერ დამუშავებული სქემით და კონსტრუქციებით განხორციელებულმა ნაპირდაცვამ სოხუმისა და დაგომისის 220 კვ. ქვესადგურებზე; მძიმეწონიანი (200 ტონამდე) მოწყობილობის თრევის სქემებმა დიდი ქუთაისისა და ბათუმის 220 კვ. ქვესადგურებზე; 50 მვარ სიმძლავრის სინქრონული კომპენსატორის საძირკვლის მოწყობის სქემამ და კონსტრუქციამ.

ამიერ და იმიერკავკასიაში მოღვაწე ბევრი ენერგომშენებლისათვის სევერიან ღვინეფაძე – საქართველოს დამსახურებული ინჟინერი და რაციონალიზატორი, ინდუსტრიული ქკონსტრუქციების დანერგვის ერთ-ერთი თაოსანი იყო წინა კაცი და ხიდი ისეთ გამორჩენილ ენერგომშენებლებთან ერთად, როგორებიც იყვნენ ბატონები ალექსანდრე მიქაბერიძე, ავქსენტი გიგინეიშვილი, ლევან ასათიანი, ალექსანდრე განგია, ლევან კალანდაძე, ილია კემულარია, რაჟდენ ებრალიძე, ვლადიმერ შენგელია, ლევან ოსიპოვი. მათთვის უცხო არ იყო რთულ უბნებზე გადამცემი ხაზების უსაყრდენოდ მშენებლობის ახლახანს გაჟღერებული იდეა. ეს იდეა სხვა არაფერია, თუ არა კარგად დავიწყებული ძველი. ასეთი მეთოდი გამოყენებულია დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში 35-110 კვ. ეგხ-ბის მრავალ უბნებზე. შეუვალ წესად ჰქონდა ტრასის ზედმიწევნით შესწავლა, ფეხდაფეხ დათვალიერება ისე, რომ ზოგჯერ მასზე ახალგაზრდებიც ჩამორჩენიან უკან, გარემოში ორიენტირების იშვიათი ალღოს წყალობით ხდებოდა გადამცემი ხაზების ტრასების ოპტიმიზაცია, მატერიალურ-ტექნიკური და საფინანსო რესურსების ხარჯვის მნიშვნელოვანი შემცირებით.

– არ არსებობს პროექტი, რომელშიც სევერიანს შესწორება არ შეეტანოს. დადგება გორაზე ნახაზით, გახედავს არემარეს და თავისებურად განჭვრეტს როგორ განალაგოს ანძები – უფრო მომჭირნედ, უფრო საიმედოდ! – მითხრა ერთხელ ბატონმა ავქსენტი გიგინეიშვილმა – მერე სიტყვას ხელიცააყოლა – ასე, ლარივით გადაჭიმავდაო...

მისი ერთ-ერთი მოწაფეთაგანი, ტექნიკური ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელი და ქველმოქმედი ადამიანი, ბატონი დემურ ბალდავაძე თავისი საინჟინრო საქმიანობის დასაწყისშივე შეხვედრია მამას. გულწრფელია მისი მოგონება, რომელიც დაიბეჭდა გაზეთში „ენერგია – ჩრდილოეთ კავკასია" (1997 წ, დეკემბერი, № 20-27): ...„საპროექტოში 1 წლის მუშაობის შემდეგ გამაგზავნეს სოფელ შეფსიში (დიდი სოჭის რ-ნი ნ. ღ.) მაშინ გაჰყავდათ იქ 220 კვ. ელექტროგადამცემი ხაზი ცენტრალური-შეფსი-დაგომისი-ფსოუ-ბზიფი. სწორედ იქ შევხვდი კაცს, რომლისგანაც ვისწავლე ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა. ეს იყო № 1 მექანიზებული კოლონის მთავარი ინჟინერი სევერიან ივანეს ძე ღვინეფაძე – ნიადაგ სიახლის მაძიებელი გამოცდილი მშენებელი. მასთან მუშაობა ყოველთვის საინტერესო იყო".

და აი, ცასა და დედამიწას შორის გამოკიდებული ეს კაცი, როცა სულის მოსაბრუნებლად მოიცლიდა, უეჭველად ეახლებოდა მახლობელ ეკლესია-მონასტრებს (არდადეგებზე მასთან ჩასულ შვილებსაც გვაზიარებდა წარსულის საოცრებებს გელათში, კაცხში, მღვიმევში, ეჩმიაძინშიც კი; და ცხადია ახალ ათონში, გაგრაში, ბიჭვინთაში, ილორში, ბედიის ხშირი სტუმარი ყოფილა, ფოტოებიც გადაუღია კვიპაროსებით შემოჯარული ტაძრისთვის – რას იფიქრებდა, რომ არაკაცები გაბედავდნენ ილორისა და ბედიის დიდებული ძეგლების ხელყოფას!



სევერიან ღვინეფაძე ბედიის ტაძართან (1937 წ.).

**საენკენო**

**100 წლის მამას**

**წარსულში მზერა**
**თვალის ფსკერს**
**მიკრიალებს, –**
**თავში რა აზრები**
**მიტრიალებს, –**
**თავში რა აზრები**
**მიტრიალებს...**
**ამას ვინ გაიგებს,–**
**ამას ვინ გაიგებს...**

**ზაფხული სიზმარივით**
**გამეჴარა, –**
**ზამთარი თვალებს**
**მიბრიალებს, –**
**თავში რა ფიქრი**
**მიტრიალებს,**
**გულში რა მორევი**
**მიტრიალებს....**
**ამას ვინ გაიგებს...**

**წარსულში მზერა**
**თვალის ჩინს**
**მიბინდავს, –**
**იქნებ მიმინების**
**ჟამია?!..**
**ზის მამაჩემი**
**ბედიასთან**
**– თითქოსდა...**
**მელის...**
**მე – მის ჴირმშოს...**

მუდამ თან ჰქონდა „ოთხთავი".

თანამშრომლებს, თვით ტრესტის მმართველს ბატონ ალექსანდრე მიქაბერიძეს არაერთხელ ურჩევიათ, რომ პარტიაში შესულიყო – სწორედ შენისთანა პატიოსანი, ერთგული, ენერგიული კაცი უნდა იყოსო კომუნისტი! ლამის შეუბამთ კიდეც ექვანი, მაგრამ მერე დაუხვევია ხელი დახასიათებებისა და ანკეტისათვის და საშინაო არქივში ჩაუძახებია.

...უყვარდა საქართველოს ისტორია, ლიტერატურა... მის საქაღალდეებში მივაგენი გაზეთებს ჩემი წერილებით...

22 ენკენისთვე მისი დაბადების დღეა. სწორედ 1905 წლის ამ დღეს მამამისს, ბაჭუა (ივანე) ღვინეფაძეს ეზოში (ზედა სიმონეთში) დაურგავს მაშინდელისთვის ჯერ კიდევ იშვიათი ხე – ინდის ხურმა. ის ხე დღესაც მსხმოიარეა...

ნეტავ ადამიანებიც ხეებივით დღეგრძელები იყვნენ...

**ნანა ღვინეფაძე**
**2005 წლის 22 ენკენისთვე**

# ისტორიული და ლიტერატურული ზღვარი

## ფრანც კაფკა მეგობარს გამოუტყდა: მსგავსი არაფერი მინახავსო...

**(მეხუთე გვერდიდან)**

ვერაფრით ვერ ეგუებოდა იმ ფაქტს, რომ ჩეხი ქალები ზოგჯერ თავიანთი ქვეყნის დამპყრობლებთან, თუნდაც ძალიან გალანტურ გერმანელებთან, იწყებდნენ რომანულ ურთიერთობებს... 1939 წელს, აგვისტოს თვეში მან ჩეხ ქალებს ასე გულშიჩამწვდომად მიმართა: **„თუ თქვენ ნებით დაუკავშირდებით გერმანელებს, ე.ი. უარს ამბობთ ჩეხეთზე".** ნოემბერში მილენა იესენსკა გესტაპომ „სახელმწიფო ღალატისთვის" გაასამართლა. ის რაკენსბერგის საკონცენტრაციო ბანაკში გადაიყვანეს. მრავალმხრივ საინტერესოა იესენსკას საგამოძიებო საქმე და საბრალდებო დასკვნა. ფაქტობრივად, მას ვერაფერს უმტკიცებდნენ. ამიტომ შეუგზავნეს პატრიოტისნიღბიანი კაცი, ვინმე ნახტმანი, რათა მისი ნდობა მოეპოვებინა. ამ კაცმა პატრიოტთა იატაკქვეშეთშიც მოახერხა შეღწევა... ჟურნალისტი ქალის დაღუპვაში დიდი იყო ნახტმანის როლი...

სხვათა შორის, ნახტმანი 1945 წლიდან საბჭოთა ციხეში იჯდა. 15 წელი პატიმრობა მიუსაჯეს, მაგრამ აქაც მოახერხა მეტამორფოზა. თავმოდრეკით ემსახურებოდა ახალ ბატონებს. ამიტომაც დროზე ადრე გაანთავისუფლეს, საბჭოეთის მიწაზე ბინაც უბოძეს და სამსახურიც.

1959 წელს ჩეხოსლოვაკიის სასამართლომ ნახტმანის წინააღმდეგ აღძრა საქმე. მას ბრალი ედებოდა 200-ზე მეტი პატრიოტის მკვლელობაში. 14 წელი მიუსაჯეს, მაგრამ რაღაც მანქანებით მხოლოდ 2 წელი აკმარეს.

მოვლენები პარალელურად ვითარდებოდა. მაშინ, როცა ნახტმანი გერმანიაში გადავიდა საცხოვრებლად და სხვათა შორის, დიდი პენსია დაუნიშნეს, მილენა იესენსკას ისრაელის სახელმწიფომ **„ხალხთა შორის წმინდანის"** წოდება მიანიჭა...

მის დაღუპვაში მონაწილე ნახტმანი 1995 წლის გაზაფხულზე საკუთარი მშვიდი სიკვდილით მიიცვალა, ისე, თითქოსდა სრულიად არაფერში ედო ბრალი.

**მშვენიერი მილენა ისტორიას თავისი ღირსეული და გმირული ცხოვრებით შემორჩა. ლიტერატურას კი ფრანც კაფკას სტრიქონებით. მწერალს და ჟურნალისტ ქალს ერთმანეთი უყვარდათ, მაგრამ ვერაფერი იღონეს ერთმანეთის გადასარჩენად...**

**ნინო ვანიძე**



ფ. კაფკას მშობლები





# ნაცნობი სიტყვების განმარტებანი

**უშიშრობა** – ესაა უჩვეულო ძალა სულის, რომლის წყალობითაც ის სძლევს დიდი განსაცდელის წინაშე პირისპირ დგომით გამოწვეულ ელდას, ზარს, ძრწოლას. სწორედ ეს ძალა ანიჭებს გმირებს იმის უნარს, რომ თვით ყველაზე მოულოდნელ და თავზარდამცემ ვითარებაშიც შეინარჩუნონ სიმშვიდე და სიდინჯე. აღუმღვრევლობა და სულიერი წონასწორობა.

**ფრანსუა დე ლაროშფუკო**

**ჭეშმარიტების** კრიტერიუმი არის ცდა.

**თომაზო კაპანელი**

**უსამართლობა** – მოყვასთა მიმართ ძალადობა – აი, საკუთარი ანგარების დაცხრომის ერთადერთი გზა და საშუალება.

**ბლეზ პასკალი**

**იმედი** – უბედურთა მეორე სულია.

**გოეთე**

**დარდი** – სულის მოუსვენრობაა, როცა ის ფიქრობს დაკარგულ სიამეზე, რითაც შეიძლებოდა მეტხანს დამტკბარიყო ან როცა იტანჯება თავს დატეხილ ბოროტებაზე.

**გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცი**

**მორალურობა** – სრულიად არ ითვლება გრძნობის საგნად, ის მხოლოდ გონების საგანია.

**იმანუილ კანტი**

**ბედნიერი** – არის ის, ვინც თავს ბედნიერად რაცხს.

**ჰენრი ფილდინგი**

ჩვენი ტელეფონებია: 99-55-01; 893 14-57-56.

ჩანართზე მუშაობდნენ: ნინო ხოფერია, მამუკა ვაშაკიძე, კახა ქორიძე



საჯარო სამართლის იურიდიული პირი — მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის

# განცხადება

## სამელიორაციო ასოციაციების ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის ეროვნულ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად მოწვევის შესახებ

საქართველოს მთავრობას მიღებული აქვს მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციის (სგა) კრედიტი ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის (პროექტი) დასაფინანსებლად და განზრახული აქვს, ამ კრედიტის სახსრების ნაწილი გამოიყენოს პროექტის ეროვნული პროგრამის განსახორციელებლად.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი — მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი (პსც) იწვევს სამელიორაციო (წყალმომხმარებელთა და/ან დრენაჟის მომხმარებელთა) ასოციაციებს კონკურსის წესით ეროვნულ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად.

ეროვნული პროგრამა გულისხმობს გრანტის სახით სამელიორაციო ასოციაციებისათვის (ასოციაცია) საწყისი სახსრების გამოყოფას სგა-ს საკრედიტო სახსრებიდან, ხოლო ასოციაციები, თავის მხრივ, მზად უნდა იყვნენ საწყისი სახსრების 25%-ის ეკვივალენტური ფულადი ან შრომითი თანამონაწილეობისათვის. გამოყოფილი საწყისი სახსრები ასოციაციებმა უნდა მოახმარონ მათი მომსახურების ტერიტორიის ფარგლებში არსებული საირიგაციო/სადრენაჟო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას და მის შემდგომ ექსპლუატაციას.

ეროვნულ პროგრამაში მონაწილეობისათვის ასოციაციებმა აუცილებლად უნდა წარმოადგინონ შემდეგი **ძირითადი დოკუმენტები:**

1. ასოციაციის წესდება (ასლი);
2. სოფლის მეურნეობის სამინისტროდან ასოციაციის რეგისტრაციის მოწმობა (ასლი);
3. ასოციაციის სიტუაციური გეგმა (ასლი);
4. ასოციაციის წევრთა ხელმოწერილი სია (ასლი);
5. ასოციაციის გადასახადის გადამხდელის მოწმობა (ასლი);
6. ცნობა მომსახურე ბანკიდან ასოციაციის ანგარიშის არსებობის შესახებ;
7. სამელიორაციო ასოციაციის მომსახურების ტერიტორიაზე არსებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურის უზუფრუქტით გადაცემის ხელშეკრულება ან გადასაცემი ქონების დღევანდელი განმკარგავის მიერ გაცემული ქონების საბალანსო ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტი;
8. ასოციაციის ეროვნულ პროგრამაში მონაწილეობის შესახებ განცხადება-მოთხოვნა.

პსც/პროექტის ტექნიკური ერთეული (პტე) შეისწავლის თითოეული ასოციაციის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს და მათი სრულყოფილების დადგენის შემთხვევაში ადგილზე მოახდენს შესაბამისი ასოციაციის მომსახურების ტერიტორიაზე არსებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგომარეობის შეფასებას, ასოციაციისათვის პროექტით განსაზღვრული დაფინანსების საკმარისობის დასადგენად, რის შემდეგაც ასოციაცია ჩაირთვება პროექტის მონაცემთა ბაზაში, რაზეც მას წერილობით ეცნობება. წერილის მიღებიდან 30 დღის ვადაში, ასოციაციამ უნდა წარუდგინოს პსც/პტე-ს შემდეგი **დამატებითი დოკუმენტები:**

- ასოციაციის მომსახურების ტერიტორიაზე არსებული დაუმუშავებელი სარწყავი/დაშრობილი ფართობის ოდენობა (ცნობა ასოციაციის გამგეობიდან);
- ასოციაციის წყალუზრუნველყოფილი/დაშრობილი ფართობი (ცნობა სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის ტერიტორიალური სამმართველოდან);
- ასოციაციაში გაწევრიანებულ ფერმერთა რაოდენობა (ცნობა ასოციაციის გამგეობიდან);
- 2005 წლის განმავლობაში ასოციაციისათვის მიწოდებული წყლის/დაშრობილი ფართობის საფასურის ოდენობა და ასოციაციის მიერ რეალურად გადახდილი თანხის ოდენობა (ცნობა სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის ტერიტორიალური სამმართველოდან);
- გამანაწილებლების/კოლექტორების საერთო სიგრძე და ტექნიკურად გაუმართავი მონაკვეთების საერთო სიგრძე (ცნობა სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის ტერიტორიალური სამმართველოდან);

არასწორი ინფორმაციის მოწოდების შემთხვევაში ასოციაცია ამოღებული იქნება პტე-ს მონაცემთა ბაზიდან.

პსც/პტე ეროვნულ პროგრამაში ჩასართავ ასოციაციებს შეარჩევს ზემოთ ჩამოთვლილი **დამატებითი დოკუმენტებიდან** მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შემდეგი დადგენილი შერჩევის კრიტერიუმებით:

- მიწის გამოყენების კოეფიციენტი;
- წყალუზრუნველყოფილი/დაშრობილი ფართობის კოეფიციენტი;
- ფერმერთა დაინტერესების კოეფიციენტი;
- სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტისათვის წყლის საფასურის გადახდის კოეფიციენტი;
- არხების ტექნიკური მდგომარეობის კოეფიციენტი.

ეროვნულ პროგრამაში ჩართვის შესახებ ასოციაციებს ეცნობებათ წერილობით. ეროვნულ პროგრამაში ჩართვის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 15 დღის ვადაში ასოციაციის თავმჯდომარემ წერილობით უნდა აცნობოს პსც/პტე-ს ფერმერების მხრიდან ფულად ან შრომით მონაწილეობაზე თანხმობის შესახებ.

თანხმობის მიღების შემდეგ პსც/პტე სამელიორაციო ასოციაციასთან აფორმებს ე. წ. პირველ საგრანტე ხელშეკრულებას, რომელიც საფუძვლად დაედება ასოციაციის ჩართვას ეროვნულ პროგრამაში.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ მისამართზე 11-დან 17 საათამდე (ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, უქმე დღეების გარდა).

სამელიორაციო ასოციაციებმა უნდა წარმოადგინონ წინამდებარე განცხადების დასაწყისში მოთხოვნილი **ძირითადი დოკუმენტები** (8 დოკუმენტი) ქვემოთ მითითებულ მისამართზე 2005 წლის 15 ნოემბრის ჩათვლით.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი — მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის

ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის ტექნიკური ერთეული

**საქართველო, თბილისი, 0123, კოსტავას ქ. №41, ოთახი 328**
**ტელ/ფაქსი: 934921**
**ელ-ფოსტა:** idcdp@adpcc.org.ge



# განცხადება

**„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად საჯარო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო დეპარტამენტის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:**

1. ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს გამომძიებელი — 4 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო — 590 ლარი);
2. საპატრულო პოლიციის ქვემო ქართლის რეგიონალური სამმართველოს გამომძიებელი — 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო — 580 ლარი);
3. საპატრულო პოლიციის შიდა ქართლის რეგიონალური სამმართველოს გამომძიებელი — 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო — 580 ლარი);
4. საპატრულო პოლიციის კახეთის რეგიონალური სამმართველო — 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო — 580 ლარი);
5. საპატრულო პოლიციის მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური სამმართველო — 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო — 580 ლარი).

კონკურსის პირობები:

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდგომ — კონკურსი) უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასთვის.

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას, აქვთ უმაღლესი განათლება, შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება.

კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატების ასაკი განსაზღვრულია 21-დან 35 წლამდე.

ასევე, სასურველია:
- უცხო ენის ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა;
- გამომძიებლად მუშაობის გამოცდილება.

კონკურსს ატარებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში წერილობით განცხადებასთან ერთად უნდა წარადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია;
2. უმაღლესი განათლების დიპლომის ასლი;
3. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
4. პირადობის მოწმობის ასლი;
5. 2 ფოტოსურათი 3X4;
6. სამხედრო ბილეთის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
7. დახასიათება (სამსახურიდან ან სასწავლებლიდან).

საბუთები მიიღება ორი კვირის ვადაში განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

კონკურსი მოეწყობა განცხადების გამოქვეყნების დღიდან არაუადრეს სამი კვირის შემდეგ.

კონკურსის ჩატარების თარიღი და საკონკურსო თემატიკა კანდიდატებს დამატებით ეცნობებათ განცხადების წარდგენისას.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად).

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კილომეტრი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი. ტელ: 53-02-16.

საჯარო სამსახურის ბიურო



# განცხადება

**შპს „საქართველოს რკინიგზა“ აცხადებს კონკურსს ბილეთის მოლარის თანამდებობებზე თანამშრომელთა რეზერვის შექმნის მიზნით, მათი შემდგომი დასაქმების პერსპექტივით.**

კონკურსის მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია;
2. ფოტოსურათი;
3. შრომის წიგნაკის ასლი;
4. მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;
5. საკონტაქტო ტელეფონი.

აუცილებელი პირობებია უმაღლესი ან საშუალო ტექნიკური განათლება, კომპიუტერის ცოდნა, სასურველია უცხო ენის ცოდნა.

საბუთების მიღება იწარმოებს 2005 წლის 25 სექტემბრიდან 2005 წლის 10 ოქტომბრამდე ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 18.00 საათამდე, შემდეგ მისამართებზე:

**გორში: გორიჯვრის ქ. №19 (რკინიგზის სადგურის შენობა), ტელ: 7-71-97.**

**სამტრედიაში: თამარ მეფის ქ. №3 (რკინიგზის სადგურის შენობა), ტელ: 56-07-58, 56-07-62.**

**სენაკში: ჭავჭავაძის ქ. №70 (რკინიგზის სადგურის შენობა), ტელ: 56-02-22.**

**ზუგდიდში: ქუჯის ქ. №1 (რკინიგზის სადგურის შენობა), ტელ: 56-01-61.**

**ფოთში: რეკვავას ქ. №1 (რკინიგზის სადგურის შენობა), ტელ: 56-00-82.**

**ქობულეთში: აღმაშენებლის ქ. №1 (რკინიგზის სადგურის შენობა), ტელ: 56-16-11.**

**ბათუმში: მაზმიშვილის ქ. №5 (რკინიგზის სადგურის შენობა), ტელ: 56-15-56.**

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ თბილისში შემდეგ ნომრებზე: **56-42-33, 56-58-62, 56-47-17.**


**შპს „ჭიათურამარგანეცი-2004“ ს.კ. 215608233 აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართონ მისამართზე: ჭიათურა, ნიკოპოლის ქ. 2.**

## გვირეკავენ, გვეკითხებიან

**ვარ აფხაზეთიდან არაორგანიზებულად ჩასახლებული, II ჯგუფის ინვალიდი, მარტოხელა პენსიონერი. მეკუთვნის თუ არა შეღავათები ბუნებრივ აირზე და სხვა გადასახადებზე?**

თეიმურაზ ფერაძე

კომუნალური მომსახურების გადასახადის გადახდის დროს შეღავათებით სარგებლობენ აფხაზეთიდან დევნილი მხოლოდ ორგანიზებულად ჩასახლებული უმწეო კატეგორიის მოქალაქეები.

კანონმდებლობით შეღავათი ასევე არ არის გათვალისწინებული ელექტროენერგიის გადასახადზე.

ირინე ღლონტი

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.

## ჭიდაობა

# ფალავნებს ბუდაპეშტი გამოცდის

**უნგრეთის დედაქალაქი ხშირად მასპინძლობს მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატებს. 1958 წელს აქ ოქროს მედლები ლეგენდარულმა ფალავნებმა — გივი კარტოზიამ და როსტომ აბაშიძემ მოიპოვეს.**

26 სექტემბრიდან ბუდაპეშტში თავისუფალი სტილით მოჭიდავეები იასპარეზებენ. ამ დღეს ოქროს მედლები სამ წონით კატეგორიაში გათამაშდება. 57 კილოში ჩვენი გუნდის ღირსებას ქუთაისელი გოჩა კირკიტაძე დაიცავს, 60 კილოში საჩხერელი ლევან ჩაბრაძე იჭიდავებს, 66 კილოში გორელ ოთარ თუშიშვილს ვიხილავთ. 27 სექტემბერს ხალიჩა 74, 84 და 96 კილოგრამ წონით კატეგორიებში გამომსვლელებს დაეთმობა. ესენი არიან ყვარლელი დავით ახალმოსულიშვილი, გურჯაანელი რევაზ მინდორაშვილი და სოხუმელი ორგზის მსოფლიო ჩემპიონი ლუკა კურტანიძე. 28 და 29 სექტემბერს მედლებისთვის, შესაბამისად, მძიმეწონოსანი ალექსანდრე მოდებაძე და რუსთაველი გოგონა ელო გიგილაშვილი (63) იბრძოლებენ.

30 სექტემბრიდან 3 ოქტომბრამდე ბუდაპეშტის ხალიჩა ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებს უხმობს.

შოთა ქორიძე

## დაჯილდოება

# ცოდნა დაუფასდა

**წელიწადზე მეტ ხანს გრძელდებოდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიქტორინა, რომელმაც გამოავლინა გამარჯვებული. ეს გახლავთ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი გარი ამირხანოვი. სეოკმა იგი 500 ლარით, მაჯის საათითა და ოლიმპიური ლიტერატურის კომპლექტით დააჯილდოვა.**

## ჭადრაკი

# ორი ტური დარჩა

**იტალიაში მოჭადრაკეთა ევროპის საკლუბო ჩემპიონატის მე-5 ტურში საქართველოს ქალთა გუნდმა „ნტნ“-მა 3,5:0,5 მოუგო რუსეთის „პლატინას“ და 9 ქულით ერთპიროვნულად დაწინაურდა. ლიდერს ორ-ორი ქულით ჩამორჩებიან რუსეთის კლუბები — „ურალი“ და AVS-ი.**

თავი ისახელეს ჩვენმა ვაჟებმაც, რომლებმაც 4:2 დაამარცხეს KSK-47. ხუთი ტურის შემდეგ „ტომსკი-400“ უდანაკარგოდ ლიდერობს. „იას“ ქულით ნაკლები აქვს.

ლექსო ცინცაძე

## თარიღი

# „კლდესავით აღმართული ვალტერ სანაია“

### გამოჩენილი მეკარის 80 წლისთავი



**მსწრაფლად მდინარე დრომ აღნიშნა თბილისის და მოსკოვის „დინამოს“ ცნობილი მეკარის ვალტერ სანაიას 80 წლისთავი. ძველი თაობის გულშემატკივრებს კარგად გვახსოვს ეს ახოვანი, წარმოსადეგი, „კლდესავით აღმართული“ (გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“) ფეხბურთელი, რომელიც თავისი თავბრუდამხვევი ნახტომებით ტრიბუნების აღტაცებას იწვევდა.**

აი, რა წერია მის შესახებ ავტორიტეტულ მოსკოვურ ცნობარში „რუსული ფეხბურთის 100 წელი“ (1997): „ფიზიკურად ძლიერი, გაბედული, ფლობდა ჩინებულ რეაქციას და ნახტომს. გამოირჩეოდა კარგი მეკარისეული ტექნიკით, სიმტკიცითა და ეფექტურობით. რამდენიმე სეზონის მანძილზე იყო ა. ხომიჩის ღირსეული კონკურენტი. ერთ-ერთმა პირველმა საბჭოთა ფეხბურთში დაიწყო თამაში მთელ საჯარიმო მოედანზე, რაც შემდგომ განავითარა და სრულყო მისმა მემკვიდრემ ლ. იაშინმა“.

დამეთანხმებით, რომ ფანტასტიკური დახასიათებაა. მართლაც, ასეთად დაგვამახსოვრდა ვალტერ სანაია თბილისის (1944-1946) და მოსკოვის (1946-1953) „დინამოში“ გამოსვლისას.

თბილისის „დინამოში“ ვ. სანაია მოვიდა აფხაზეთიდან, სადაც თამაშობდა ოჩამჩირისა და სოხუმის გუნდებში. მისი საუკეთესო მიღწევებია სსრკ ჩემპიონობა (1949). მეორე (1950 წ.) და მესამე ადგილები — 1946 და 1952 წლებში.

თავის პირველივე მატჩებში (1945 წლის გაზაფხულზე) სანაიამ ყურადღება მიიპყრო გამორჩეული ფიზიკური მონაცემებითა და მოხდენილობით, თუმცა მისი, როგორც მეკარის ტექნიკა, თავდაპირველად მთლად დახვეწილი არ იყო. მაგრამ უკვე მომდევნო წელს იგი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე გახდა. სამუდამოდ დაგვამახსოვრდა მისი თამაში მოსკოვის „დინამოსთან“ დაუვიწყარ მატჩში (1946 წ. 26 აპრილი, 3:2), სადაც იგი მედგრად იგერიებდა განთქმული ფორვარდების — ვასილი კარცევის, კონსტანტინ ბესკოვის, ვასილი ტროფიმოვისა და სერგეი სოლოვიოვის „შემმუსვრელ“ დარტყმებს, რითაც გულშემატკივრებს აღაფრთოვანებდა.

თუმცა ორჯერ მაინც მოუხდა ბურთის ბადიდან გამოტანა ვ. კარცევისა და ლ. სოლოვიოვის დარტყმების შემდეგ. განსაკუთრებით ეფექტიანი იყო პირველი მათგანი. თამაშის 22-ე წუთზე, როდესაც ანგარიში იყო 2:0 ქართველების სასარგებლოდ (ბ. პაიჭაძისა და გ. ანთაძის გოლები), თბილისელთა კარში დაინიშნა საჯარიმო. დაახლოებით 25 მეტრიდან. ყველამ, მათ შორის, ცხადია, სანაიამაც იცის, რომ დარტყმას განახორციელებს საჯარიმოების უბადლო შემსრულებელი ვ. კარცევი და რომ ბურთს გაგზავნის მარჯვენა ზედა კუთხეში. ასეც არის. „რეაქტიული“ სანაია ასწრებს ამ დანახული „ზემოთა მარჯვენის“ გადაკეტვას აკრობატული ნახტომით; მაგრამ... ერთი წამით გვიან, ვიდრე იქ აღმოჩნდებოდა ბურთი! ამ სანახაობით გაოგნებული ტრიბუნები დიდხანს გუგუნებენ.

ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როცა მეკარეს გაშვებული ბურთით იხსენებენ!

კიდევ ერთი დაუვიწყარი მატჩი ამ ორ ისტორიულ მოწინააღმდეგეს შორის გაიმართა 1951 წლის 8 აპრილს. სანაია ამ დროს უკვე მოსკოვის „დინამოში“ გამოდიოდა.

მიმდინარეობს თანაბარი, ძალზე დაძაბული თამაში თბილისელთა ერთგვარი უპირატესობით, მაგრამ ანგარიშია 2:0 მოსკოველთა სასარგებლოდ, რადგანაც სანაია კარში საოცრებებს ახდენს: იგერიებს მკვდარ ბურთებს ხელით, ფეხით, ერთხელ — იდაყვით!

თამაში, რომლის მთავარი გმირიც ვალტერ სანაია იყო, ასევე დამთავრდა — 2:0 მოსკოველთა სასარგებლოდ.

50-იანი წლების დასაწყისი სანაიას სპორტული კარიერის მწვერვალი იყო. გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“ აღნიშნავდა მის საიმედო და ლამაზ თამაშს. მოსკოვის „დინამოში“ გამოსვლების დამთავრების შემდეგ სანაია ერთი წლით (1954) დაუბრუნდა მშობლიურ კლუბს — თბილისის „დინამოს“, ხოლო შემდეგ ერთი წელი ბაქოს „ნეფტიანიკში“ გამოდიოდა.

ვალტერ ბესარიონის ძე სანაია გარდაიცვალა 1999 წლის 30 ოქტომბერს. დღეს მას 80 წელი შეუსრულდებოდა...

გულბათ ტორაძე

## სპორტულ ორბიტაზე



# მძევალი გაათავისუფლეს

**მექსიკის პოლიციამ გაათავისუფლა ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კლუბის „კრუს ასულის“ მთავარი მწვრთნელი, არგენტინელი ომარ რომანო (მისი მოტაცების შესახებ ამ ორი თვის წინათ გაცნობეთ).**

როგორც ცნობილია, რომანო მოიტაცეს წლეულს, 19 ივლისს. 47 წლის მწვრთნელის BMW-ს წინ გადაუდგა ორი ჯიპი, რომელშიც 5 შეიარაღებული კაცი იჯდა. მათ რომარიო ძალით გადასვეს თავიანთ მანქანაში და მიიმალნენ. დედაქალაქში წინა დღეს მოპარულ ჯიპებს მხოლოდ რამდენიმე საათში მიაგნეს.

ორ თვეზე მეტ ხანს არგენტინელი მძევლად ჰყავდათ, თუმცა მისივე თქმით, დროდადრო აძლევდნენ ოჯახთან დაკავშირების ნებას.

ფედერალურმა პოლიციამ სპეცოპერაციის დროს მექსიკის ერთ-ერთ რაიონში მიაგნო რომარიოს ადგილსამყოფელს და ტყვეობიდან იხსნა.

# ნუთუ, დაეხმარა?!

**ფეხბურთში საფრანგეთის ნაკრების მეკარემ გრეგორი კუპემ მკაცრად გააკრიტიკა ერთ-ერთი ფრანგული რადიოსადგურის ხუმრობა.**

სწორედ მისი დავალებით მსახიობმა, კარგად რომ ბაძავს ქვეყნის პრეზიდენტის ჟაკ შირაკის ხმას, ირლანდიასთან 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის წინ დაურეკა ნაკრების მთავარ მწვრთნელს რაიმონ დომენეკს და სთხოვა, მიეთითებინა მოთამაშეებისთვის, მატჩის წინ „მარსელიოზას“ შესრულებისას გულზე ხელი დაედოთ, რითაც მხარს დაუჭერდნენ ქვეყნის პრეზიდენტს, რომელიც ამ დროს საავადმყოფოში იწვა გამოკვლევებზე.

„მე მიმაჩნია, რომ ეს უხამსობა იყო. ლაპარაკი ხომ იყო ადამიანის ჯანმრთელობაზე, თანაც საფრანგეთის პრეზიდენტზე. ასეთ რამეზე არ ხუმრობენ!“ — თქვა კუპემ მატჩის შემდეგ, რომელიც ფრანგებმა მოიგეს — 1:0. წინა კვირაში შირაკი საავადმყოფოდან გამოეწერა, ნუთუ ნაკრების გამარჯვებაც დაეხმარა?!

# ცურვით ჰონკონგიდან მაკაომდე

**ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა ჩინელმა სპორტსმენმა-ექსტრემალმა ჩჟან ცზიანმა, რომელიც ცნობილია შორეული გადაცურვებით. მან 10 საათსა და 43 წუთში ცურვით მიაღწია სიანგანიდან (ჰონკონგი) აომინამდე (მაკაო), ზღვაში 35-კილომეტრიანი დისტანცია რომ გაცურა. აქამდე 41 წლის პეკინელმა ფიზკულტურის მასწავლებელმა გადაცურა ლამანში, რამდენიმე ცივი მთის ტბა და მსოფლიოში ყველაზე გრძელი მღვიმეთა მდინარე.**



მაგრამ ყველაზე ძნელი გამოცდა მას ხუთი წლის წინათ ჰქონდა, როდესაც 50 საათზე ცოტა მეტ ხანში ჩრდილოეთ ჩინეთში გადალახა 109-კილომეტრიანი ბოხაივანის ყურე.

თუმცა მამაცი მოცურავე ამით როდი კმაყოფილდება: მას უნდა აისრულოს დიდიხნის ოცნება — დაიპყროს მძლავრდინებიანი ტაივანის სრუტე, რომლის სიგანე 160 კილომეტრია.



# „ნიუ კამპის“ პოდიუმზე — ვარსკვლავები

**მსოფლიოში სახელგანთქმული ფეხბურთის სტადიონი „ნიუ კამპი“ ფოტომოდელების თავისებურ პოდიუმად იქცა. როგორც ესპანური პრესა იტყობინება, „ბარსელონას“ საშინაო არენა, თითქმის 100 ათას მაყურებელს რომ იტევს, სპეციალურად გადააკეთეს სამოდელო მარკის „გაუდის“ ახალი სადიზაინერო კოლექციის საჩვენებლად.**

ამ აქციის ორგანიზატორები იმით ხელმძღვანელობდნენ, რომ ბოლო ხანებში ერთგვარ ნორმად ქცეულმა ფეხბურთელებისა და ტოპ-მოდელების ქორწინებებმა დააახლოვა სპორტისა და მოდის საზღვრები. ამიტომაც აუცილებელია სხვადასხვა PR-აქციებისა და საღამოს წვეულებების მოწყობა.

ერთ-ერთი მათგანია მოდების ჩვენება კატალონიის დედაქალაქში. როგორც იტყობინებიან, საღამოზე, რომელიც გრანდიოზული კონცერტით დამთავრდა, ნახეს არა მარტო „ბარსელონას“ მოთამაშეები, არამედ ესპანეთის ჩემპიონატის სხვა გუნდების ფეხბურთელებიც. თვითმხილველების აზრით, მათ ძალზე აინტერესებდათ სამოდელო-სპორტული პოდიუმის ლამაზი წარმომადგენლები.

## ალბომი

### ყველას რამე აქვს სახსოვარი



ნაძალადეველი მეგობრები. ფოტო გადაღებულია გასული საუკუნის 50-იან წლებში.

მოგვაწოდა აჩიკო მინდიაშვილმა.

## გვემრავლოს!

### ნანა წიკლაური გოგოს დედა გახდა

**ჩვენი ტელეფონები: 93-34-04; 99-73-24.**

... სამშობიარო სახლთან გვიან ღამით თუ ჩაგივლიათ, ალბათ გსმენიათ კიდეც, თუ როგორ არღვევს სიჩუმეს ეზოში მომლოდინე მოლოგინებული ქალის მახლობლების ყიჟინა. მეორე დღეს კი უკვე რედაქციაში გვირეკავენ. ასე იყო გუშინაც. დაგვიკავშირდა თბილისის №2 სამშობიარო სახლის ბებიაქალი მანანა კაპანაძე:



– 23 სექტემბრის ჩათვლით ჩვენთან 27 ბავშვი დაიბადა. უფრო მეტად გურჯაანიდან, თელავიდან და საგარეჯოდან ჩამოყვანილმა ქალებმა მოილოგინეს. ზოგიერთი უკვე გაეწერა კიდეც, მათ გვარებს და მისამართებს სამშობიარო სახლის „სიმართლის წიგნში" ამოიკითხავთ, თბილისის ნაძალადევში მცხოვრებ ნანა წიკლაურს კი თვალხატულა გოგო შეეძინა.

ამ სამშობიარო სახლის სამედიცინო პერსონალისათვის ყოველი მშობიარე ქალი განსაკუთრებულია, სამშობიარო სახლი ხომ თითოეული დედისა და მისი შვილის ბედნიერებით ხარობს.

## თითქმის ნატურიდან

# სიცოცხლე გაგვიიოლე, კოლეგა!

**მას შემდეგ, რაც თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკის „დენდი" ოთარ ხუციშვილი ქობულეთის პლაჟზე სექტემბრის მზეს ხავერდოვნად მიეფიცხა და სამიოდე კვირით წერას თავი ანება, დედაქალაქის იუმორის ბაზარი ქრონიკულმა შიმშილმა მოიცვა...** არა, თითოოროლა ყარტაყურტა იუმორისტი მასმედიის ყველა საშუალებას ჰყავს, მაგრამ... ცხოვრების ნატურიდან ამოკრეფილი, ჭეშმარიტად კახურ ჯიგარში გამოტარებული ოთარ ხუციშვილისეული იუმორი დროებით (კიდევ კარგი რომ დროებით!) აღარ კიაფობს ყველაზე სერიოზული და სანდო გაზეთების ფურცლებზე. შედეგად, – ალაგ-ალაგ დასეტყვილი და უამისოდაც ბედოვლათი მთავრობისგან ნიორწყლად შეფასებული ყურძნის მეპატრონე, ოთარის იუმორს მოკლებული კახელები სულ „გადაირივნენ", – ახლა კი მართლა ავჩეხავთ ვაზს და საზამთროს დავთესავთო... ნავთს ცეცხლი დაასხა კახელმა ბიზნესმენ-პარლამენტარმა ზურაბ ტყემალაძემ **(ტყემალ-აძე რო ღვინის ბიზნესით გამდიდრდება, რატო უარესს არ იტყვის, ჯო!),** სეტყვამ გვიშველა თორემ, კახელი გლეხებისთვის კილოგრამ ყურძენში რომ თუნდაც 30-40 თეთრი მიგვეცა, ისეთი უხვი მოსავალია, ლარის ინფლაციისგან ქვეყანა დაიღუპებოდაო!..



დიდად სახელგასმენილი ეკონომისტ-იუმორისტი ოთარ ხუციშვილი თბილისში რომ ყოფილიყო, მისი ძველი მეგობარი ზურაბ ტყემალაძე ასეთ რამეს, ალბათ, არ იტყოდა და კახელებიც აღარ „გაგიჟდებოდნენ". ისე, ბიზნესმენისგან თანადგომა სწორედ ასეთი უნდა...

სასწრაფოდ დავუკავშირდი (მობილურით „გადავურეკე") ოთარ ხუციშვილს და კახეთში შექმნილი სიტუაციის მკურნალი სიტყვით განმუხტვა ვთხოვე.

– მე კახელებისგან ვისწავლე იუმორი და სამართლიანად გაბრაზებულ თანამოძმეებს ჯერ ვერ დავენახვები... ასეც რომ არ იყოს, ორიოდე დღე მაცალე, პლაჟზე მოსკოველი ქალბატონი გავიცანი და ახლა სხვა რამისთვის არ მცალია (მკითხველს შევახსენებ, რომ ოთარ ხუციშვილი ასაკოვანი ბანოვანების რისხვაც არის).

– შენ, ოღონდ გამოუსწორებელი აგრესორის და სეპარატისტების მხარდამჭერი რუსეთის ჯავრი იყარე და, ორ დღეს როგორ არ დაგაცლით... თანაც, რთველი ჯერ არ დაწყებულა და მოფიქრებისთვის დროც გაქვს.

– ყველაფერს მოვასწრებ, ზეგ წამოვალ, რედაქციაში არც შემოვივლი, ისე მივაშურებ რუისპირს **(ოთარის სოფელია თელავის რაიონში!)** და იქიდან ვუხელმძღვანელებ სართვლო მამითადს, – დამაიმედა კოლეგამ.

– აგაშენა ღმერთმა, შენი საფირმო „თითქმის ნატურიდან" არ დაგავიწყდეს, თორემ... აქ, თბილისში, ისე აიშვეს ახალბედა „რეფორმატორებმა", ლაბორანტი დათო პაიჭაძე პროფესორ ნოდარ ტაბიძეს ასწავლის, რა არის პუბლიცისტიკა და როგორ უნდა აღზარდონ რეპორტიორი!

– მე გამოკვეთილ ჟანრში ვმუშაობ: ან ეკონომიკის პრობლემები, ან – იუმორი.

– მეც ეგრე ვიცი, ჩემო ოთარ, მაგრამ... ეკონომიკის ყოფილ მინისტრს ლეიბორისტები, ძველი ცოდვებისთვის, ახალ თანამდებობაზეც იმპიჩმენტს უწყობენ. ამიტომ, **რთველშიც, პარლამენტშიც და მთავრობაშიც ახლა ისეთი მდგომარეობაა, მხოლოდ იუმორი თუ გადაგვარჩენს, ან, უკიდურეს შემთხვევაში, სიცოცხლეს გაგვიიოლებს.** ერთი სიტყვით, შენი იმედი გვაქვს...

**სპარტაკ ქოზულია**

**შპს „საქართველოს რკინიგზის" გენერალურ ინსპექციაში 2005 წლის სექტემბრიდან ამოქმედდა ცხელი ხაზი.**

**მოგმართავთ თხოვნით, რკინიგზის სისტემაში არსებული დარღვევა-ნაკლოვანებების შესახებ ინფორმაციის მოპოვების შემთხვევაში დაგვიკავშირდეთ ტელეფონზე 56-31-41.**

## პიროვნება

# ოთარ ჩერქეზია – თაობის ღირსება



ძნელია, მით უმეტეს მეგობრისა და თანამოაზრისათვის, გახსენების კონტექსტში, თუნდაც ზოგადად შეეხო ოთარ ჩერქეზიას კოლორიტულ ფიგურას. ისიც ცხადია, რომ მისი როგორც მოღვაწისა და მამულიშვილის გახსენება დღევანდელი საზოგადოების, მისი მეგობრებისა და კოლეგების მოვალეობაცაა. ოთარ ჩერქეზიამ ცხოვრებისა და მოღვაწეობის რთული გზა სახელოვნად განვლო. სხვადასხვა დროს იყო: საქართველოს ახალგაზრდობის ლიდერი, მაღალ პარტიულ, სახელმწიფო ორგანოებსა და დიპლომატიურ ასპარეზზე ნაყოფიერი მოღვაწეობით ყოველმხრივ ემსახურებოდა ქვეყნის აღმშენებლობის მამულიშვილურ საქმეს.

ადამიანი დროის (ეპოქის) შვილია. მისი თვისება – ხასიათი, მრწამსი, სამყაროს შეცნობის უნარი, მომავლის განჭვრეტის ნიჭი კონკრეტულ დროსა და სივრცეში მოქმედი წესების უშუალო გავლენით ყალიბდება. დროა ის სივრცე-საზომიც, რომელშიც და რომლითაც ადამიანის, მით უმეტეს სახელმწიფო მოღვაწის როლსა და ადგილს განსაზღვრავენ ისტორიულ მეხსიერებაში.

ამ კონტექსტში უპრიანია განვიხილოთ ოთარ ჩერქეზიას ცხოვრება და მოღვაწეობა, რომელიც მრავალმხრივობით გამოირჩევა. იგი უნიკალურ დროში დაიბადა და დიდ სახელმწიფო მოღვაწედ და მამულიშვილად ჩამოყალიბდა. ოთარ ჩერქეზია საბჭოთა ეპოქის პირმშოა. ეპოქას კი ყველაფერი საკუთარი, საყოველთაოდ აღიარებულისაგან თვისებრივად განსხვავებული ჰქონდა: ფილოსოფია, ეკონომიკა, მორალი, კულტურა, ყოველივე ის, რაც ადამიანის არსებობისა და მოღვაწეობის მთავარ პირობას წარმოადგენს საერთოდ. ამიტომ მკაცრ ჩარჩოში საკუთარ მოთხოვნებს უყენებდა საზოგადოებასა და მის თითოეულ წევრს. ბუნებრივია, არც ოთარ ჩერქეზია იქნებოდა გამონაკლისი. ამრიგად, დრო და ოთარ ჩერქეზია ურთიერთგანპირობებულობის პროცესში ერთ მთლიანობად უნდა წარმოვიდგინოთ და მხოლოდ ამის გათვალისწინებით შევაფასოთ როგორც მოღვაწე. ეს კი მეტად რთული ამოცანა და მაღალი პასუხისმგებლობაც არის. ერთი კი თამამად შემიძლია ვთქვა, ოთარ ჩერქეზიამ დროის გამოწვევა მიიღო და დროსთან ხშირად უთანასწორო ბრძოლაშიც არ დამარცხებულა, პირიქით, დროს რამდენიმე ნაბიჯითაც გაუსწრო კეთილსინდისიერებაში, საკუთარი ქვეყნის ერთგულებაში, ადამიანებისადმი დამოკიდებულებასა და საბოლოოდ, ტოლერანტობაში. რაც არსებითია, ეს მიღწეულ იქნა არა საკუთარი მაღალზნეობრივი პრინციპების დათმობის ხარჯზე, არამედ გამორჩეული ნიჭისა და პატიოსნების შეზავების უნარით და, რაც განსაკუთრებულად აღსანიშნავია, მან გარკვეულწილად თავად დრო გააკეთილშობილა და ამასთან ერთად, შექმნა ქვეყნისათვის ერთგული სამსახურის მარადიული მაგალითი. ახალ დროშიც იგივე გაიმეორა. ეს მოგეხსენებათ, ერთეულთა ხვედრია მხოლოდ.

ოთარ ჩერქეზია იმედის, ნდობის კაცია. ეს ის თვისებებია, რომლებიც საქართველოში დღეს თითქოს გაუფასურდა, თვითონ ქართველებმა ადვილად რომ გაიმეტეს და ამით თავად ჩაწიხლეს საკუთარი ქვეყანა. მაგრამ იმედი, ნდობა მანამ იქნება, ვიდრე მისი აღმატებულება – კაცური კაცი საქართველოში იცხოვრებს. კაცური კაცის მეხსიერებაში ოთარ ჩერქეზია კი ყოველთვის დარჩება. სწორედ ეს არის მისი პიროვნული ღირსებების და განსაკუთრებულობის შეფასების გასაღები.

ოთარ ჩერქეზია – როგორც პიროვნება ინტელექტუალური ფენომენის ქართულ კვარცხლბეკზე მოულოდნელად წარმოჩინდა, მეტეორივით გაბრწყინდა. მაგრამ არ ჩამქრალა, პირიქით, რთულ დროში, როგორც მამულიშვილი ნაბიჯ-ნაბიჯ, მისხალ-მისხალ და მტკიცედ იმკვიდრებდა საკუთარ ადგილს საზოგადოებაში. საბოლოო შედეგიც დადგა – ოთარ ჩერქეზიას პიროვნება დღეს საიმედო ორიენტირია მომავალი თაობებისთვის.

ოთარ ჩერქეზია პირადი ღირსებებით, მაღალი ნიჭიერებით, კეთილშობილებით, ადამიანებთან ურთიერთობების უნიკალური უნარით, სიმართლით, პრინციპულობით თავისი ცხოვრების ყველა ეტაპზე ლიდერის როლს უზადოდ ასრულებდა.

იგი, როგორც ლიდერი, საუკეთესო მაგალითია ქართული საზოგადოებისათვის. ეს გახლავთ ოთარ ჩერქეზიას პიროვნების ეროვნული მნიშვნელობის დადასტურება.

ოთარ ჩერქეზია – ქართულ ჭაღარა ტრადიციებზე გაზრდილი კაცი, იმდენად მომხიბლავი, მტკიცე და მართალი იყო, რომ ერთნაირად აღიქვამდნენ მის პიროვნებას სხვადასხვა კულტურათა წარმომადგენლებიც. იგი მთელი თავისი ცხოვრების ყველა საფეხურზე საუკეთესოდ ასრულებდა თვითმყოფადი ქართული კულტურის აღიარებული დესპანის როლს. ესეც იშვიათად ხდება ისტორიაში. მხოლოდ ერის გამორჩეულ შვილთა ხვედრია იგი.

ოთარ ჩერქეზია ყოველმხრივ განათლებული კაცი იყო, მას ენციკლოპედიური ცოდნა ჰქონდა. მისი ნიჭიერება შერწყმული ცოდნასთან და მაღალზნეობრივ პრინციპებთან, ქვეყნის წინაშე უზენაეს პასუხისმგებლობასთან, ის ქართული ბალავარია, რომელზეც ოთარ ჩერქეზიას მონუმენტური ფიგურა ამაყად დგას.

დრო დაუნდობელია. იგი ხშირად უსამართლოდ და უხეშადაც მოექცევა ადამიანებს, განსაკუთრებით ქვეყნის ღირსეულ შვილებს. ოთარისა და მისი თაობის მიმართ ნიჰილისტური სულისკვეთების დამკვიდრების ფონზე, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა, თუნდაც ტრადიციულად აუცილებელ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, მის მეგობრებს, საერთოდ საზოგადოებას საჯაროდ ეთქვა სათქმელი.

სამწუხაროდ, თავად ოთარმა დაგვასწრო. მან მოულოდნელი უდროო სიკვდილით გული დაგვწყვიტა, ამასთან გაგვაფრთხილა: ადამიანებო, სიცოცხლეშივე მოეფერეთ ერთმანეთს.

მართალი ხარ, ჩემო ოთარ. ქართული მოფერების ფენომენი უნდა აღზევდეს.

ოთარ ჩერქეზია, მრავალმხრივობით გამორჩეული პიროვნება მოწიწების, მოფერების დაუოკებელ სურვილსა და მაღალ მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას აღძრავს თანამემამულეებში. ასე იყო. ასე იქნება მომავალშიც. მე ეს მჯერა, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ნიჭიერება საყოველთაოდ ითრგუნება, წარსულისადმი მოწიწება ერთეულთა მიერ კონიუნქტურის შერჩეულ სასწორზე აიწონება, მამულიშვილობის შეფასების კრიტერიუმი სუბიექტური ზრახვებით ყალიბდება, ხოლო პატიოსნება, როგორც ადამიანისა და საზოგადოების მაღალი ღირსებების გვირგვინი, ყალბად გაგებულ ფასეულობებს ეწირება და საზოგადოებაც ხშირად შეფასებებშიც უშვებს პაუზას.

ოთარ ჩერქეზია ქართველი ხალხის ისტორიაში დარჩება როგორც დიდი მამულიშვილი, საკუთარი თაობის ღირსება, კაცი, რომელმაც დროსთან დაუნდობელ ბრძოლაში მთავარი გადაარჩინა – ადამიანებისადმი სიყვარული. დასანანია, რომ ცაიტნოტშიც აღმოჩნდა. საკუთარი ინტელექტუალური რესურსების სრულად რეალიზაციაც ვერ შეძლო. ეს მისი ბრალი არ არის. თავად დროა ვერაგი.

ოთარ ჩერქეზიას განვლილი გზა იმის კარგი მაგალითია, თუ როგორ უნდა ემსახურო საკუთარ მამულს.

როგორ სჭირდება დღევანდელ საქართველოს ოთარ ჩერქეზიასავით გულანთებული და ბრძენი კაცები!

**ნოდარ ჭითანავა.**
**20 სექტემბერი.**

## ცოტაც გავიცინოთ...

**– ადამ, ასე გვიან რატომ დაბრუნდი? ვისთან გაატარე ეს საღამო?**

**– რას არ გამოიგონებ ხოლმე, ევა? ამ სამოთხეში ხომ მხოლოდ ჩვენ ორნი ვართ?**

**თუმცა, როცა ადამს ჩაეძინა, ევამ ყოველ შემთხვევაში მას ნეკნები დაუთვალა.**

* * *

**– გაიგე, მიხო საავადმყოფოში რომ მოხვდა?**

**– საოცარია! გუშინ არ ვნახე ვიღაც ლამაზმანთან?**

**– მის ცოლსაც უნახავს...**

* * *

**– რატომ არ თხოვდები?**

**– ხომ იცი, ჩემი ქმარი დეპუტატია. მან მხოლოდ დაპირებები იცის.**

* * *

**– ძვირფასო, როგორი ქალები მოგწონს – ჭკვიანები თუ ლამაზები?**

**– არც ერთი! ხომ იცი, რომ მხოლოდ შენ მიყვარხარ.**

* * *

**გუშინ ავტობუსით რომ მოვდიოდი, ნარკომანი ჩანათაში ჩამიძვრა, თავიდანვე ვერ შევნიშნე, შემდეგ ჩანთა რომ გავხსენი – ზის.**

* * *

**შარდის ბუშტი გულივითაა, მას ვერ უბრძანებ!**

* * *



**– იცი, ამ კომედიისთვის მუსიკა ათ დღეში დავწერე!**

**– მართლა? ალბათ დიდი მუშაობა მოგიწია.**

**– არც იმდენი, ჩემამდე ხომ ამისათვის ფალიაშვილი, არაყიშვილი და ბალანჩივაძე გაისარჯნენ.**

* * *

**არჩევნების დღეს ამომრჩეველმა, ბიულეტენი რომ მიიღო, გულდასმით დაიწყო ერთადერთი კანდიდატის გვარის კითხვა.**

**– რას აკეთებ? – მკაცრად ჰკითხა სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილმა „მეთვალყურემ".**

**– მინდა გავიღო, ვის ვაძლევ ხმას.**

**– ამ ბრიყვს დამიხედეთ, არ იცი, რომ არჩევნები გასაიდუმლოებულია?!**

* * *

**გადაჭედილ ავტობუსში უცხოელი კითხულობს:**

**– ვინ არის ეს ხალხი?**

**– ესენი ქვეყნის ბატონ-პატრონები არიან.**

**ამ დროს უძვირფასესმა ჯიპმა გადაასწროთ.**

**– იმ მანქანით კი ვინ მოდის?**

**– იქ ხალხის მსახურები სხედან.**

* * *

**– ამ ზაფხულს დიდებულად დავისვენე. წყნარი, გადასარევი შვებულება მქონდა.**

**– ზღვაზე იყავით თუ მთებში?**

**– სახლში. პირველსავე დღეს ცოლი წამეჩხუბა, და მთელი თვე ხმა აღარ გაუცია.**



გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს ეროვნული გმირის ქიული შარტავას ფონდის პრეზიდენტი, ღირსეული საზოგადო მოღვაწე და გამორჩეული მამულიშვილი

რობერტ შალვას ძე
ღარიბაშვილი

პანაშვიდი 24 IX, 17 სთ. ყიფშიძის ქ. № 5ა, ბინა 12. დაკრძალვა 27 IX, 14 სთ. თელავის რაიონის სოფელ რუისპირში.

---

საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი მწუხარებას გამოთქვამს ქიული შარტავას ფონდის ხელმძღვანელის

რობერტ ღარიბაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ვაქეთა მე-12 სკოლის 1952 წლის კურსდამთავრებულთა ოჯახები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზურამ ზრიზოლის ძე ვაშაკიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

თბილისის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი, ქორეოგრაფიული ხელოვნების კათედრა და პროფესორ-მასწავლებლები იუწყებიან, რომ ქორეოგრაფიული ხელოვნების სახელოსნოს ხელმძღვანელს, პროფესორ რეზო ჭანიშვილს გარდაეცვალა ძმა

ბორის ჭანიშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

# ისარგებლეთ ცხელი ხაზით!

**საპატრულო სამსახური – 022;**
**გენერალური პროკურატურა – 99-74-10;**
**შინაგან საქმეთა სამინისტრო – 99-53-50;**
**საგარეო საქმეთა სამინისტრო – 28-47-47;**
**ფინანსთა სამინისტრო – 22-17-80; 22-09-24;**
**იუსტიციის სამინისტრო – 75-82-21;**
**ჯანდაცვის სამინისტრო – 94-34-98;**
**ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო – 38-47-98;**
**სოფლის მეურნეობის სამინისტრო – 98-57-81;**
**ეკონომიკური განვითარების სამინისტრო – 98-23-58; 50-69-00;**
**შსს სანებართვო განყოფილება – 98-57-01;**
**კონტროლის პალატის გენერალური ინსპექცია – 95-30-81; 96-71-78;**
**თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია – 23-56-73;**
**საქართველოს სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია – 39-52-47;**
**თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია – 37-78-70;**
**შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური – 22-61-48; 22-33-53;**
**ერთიანი საპენსიო ფონდი – 69-65-93; 69-65-94.**
**კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება – 24 საათი; პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში – 51-77-37.**

## ლარის კურსი

### 24 სექტემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,2587 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,8000 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2000 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0635 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1000 | 0,3926 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4006 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,5907 ლარი. |

## ამინდი დღეს

| 24 სექტემბერი | ☼ | ) |
|---|---|---|
| თბილისი | $27^0$ | $16^0$ |
| ბათუმი | $26^0$ | $15^0$ |
| სოხუმი | $27^0$ | $16^0$ |
| ქუთაისი | $28^0$ | $15^0$ |
| თელავი | $23^0$ | $15^0$ |

## გახსენება

### ოთარ ლითანიშვილი



ორი წელი გავიდა **ოთარ ლითანიშვილის** გარდაცვალებიდან. არ შენელებულა ტკივილი, არ გამქრალა სიცარიელის შეგრძნება: ეტყობა, ოთარმა მართლაც გაიყოლა თან მრავალი ადამიანის გულის ნაწილი.

ადრეც გვითქვამს – ალბათ, რენესანსის დროს ცხოვრობდნენ ოთარ ლითანიშვილისთანა მრავალმხრივი ნიჭითა და თვისებებით დაჯილდოებული ადამიანები, აღმოსავლური რენესანსის დროს...

ოთარი იყო ნამდვილი ხელოვანი, შესანიშნავი მხატვარი და არქიტექტორი, რომლის ნახელავსა და ნააზრევს დიდ პატივს სცემდნენ შემოქმედებით სამყაროში, ძველი თბილისის უბნების რესტავრაციის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი.

ოთარი იყო დიდი ომისა და საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლის მონაწილე, უშიშარი ვაჟკაცი ომსა და ყოველდღიურ ცხოვრებაში, სიმართლისა და სამართლიანობის დამცველი.

გვახსოვს ოთარი – ლხინის მეფე, საოცარი თამადა, კეთილი იუმორის დიდოსტატი, ბრწყინვალე პოეტური ექსპრომტების ავტორი, შეუდარებელი მომღერალი და მოცეკვავე.

გვახსოვს ოთარი – ულამაზესი კაცი, გამორჩეულად ელეგანტური (საფეხბურთო მოედანზეც კი!), შინაგანი არისტოკრატიზმით აღსავსე.

ოთარ ლითანიშვილი, როგორც ქალაქის კოლორიტის უნიკალური მცოდნე (ცოდნა წინაპრებიდან მოყოლილი), შემნახველი და თავად შემქმნელი, დიდი ხანია აღიარებულია თბილისელის ეტალონად. შემთხვევით არ იქმნებოდა შთაბეჭდილება – სადაც არ მივიდოდა ოთარი, თბილისი თითქოს თან სდევდა მას.

ყოველივე ეს ვიცით და გვახსოვს. მაგრამ... ალბათ, კიდევ უნდა გავიდეს დრო, რომ ყველამ ბოლომდე გაიგოს, რა კაცი დავკარგეთ, რა კაცი დაკარგა თბილისმა, რა კაცი დაკარგა მთელმა საქართველომ.

**მეგობრები.**

## ხსოვნა

### ლევან ტრაპაიძე



77 წლის ასაკში გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ელექტრული ტრანსპორტის კათედრის პროფესორი **ლევან ტრაპაიძე.**

შრომის ვეტერანი, საქართველოს ღირსების ორდენის ჯილდოს მფლობელი, იგი 1954 წლიდან ემსახურებოდა სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდას. იყო ელექტრული ტრანსპორტის კათედრის ასისტენტი, დოცენტი, პროფესორი. 1975 წლიდან 1985 წლამდე ხელმძღვანელობდა ელექტრული ტრანსპორტის კათედრას. წლების განმავლობაში შეთავსებით მუშაობდა სტუ-ს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების სამმართველოში ექსპერტად და ენციკლოპედიაში ტექნიკური ტერმინოლოგიის კონსულტანტად.

ბატონი ლევანი იყო შესანიშნავი პედაგოგი, ამხანაგი და მეგობარი. მისი ნათელი ხსოვნა მარად დარჩება კოლეგებისა და აღზრდილების გულში.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი,**
**სატრანსპორტო ფაკულტეტი, ელექტრული ტრანსპორტის კათედრა.**



გარდაიცვალა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრანგული ენის კათედრის უფროსი მასწავლებელი

თამარ ლეონიძე.

პანაშვიდი 25, 26 IX, 17 სთ. დაკრძალვა 27 IX, 15 სთ. თბილისი, კავსაძის ქ. № 4, I სად. IV სართ.

**გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 27 სექტემბერს.**